ბათუმის ეკლესიის იუბილე

უდეს ეკლესიის დღესასწაული

მოხალისეები ქუთაისის
ახალგაზრდულ ცენტრში

პირველი ზიარება ქუთაისში

ექსკურსია ოქროს ციხეზე

არლელი გავშები ვარძიაში „კარიტასის“
პროექტით

სიბა

№7
ივლისი
2010

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

ბათუმის ტაძრის 10 წლისთავი

დემოკრატიული კულტურის მიზანი

ტერმინს „დემოკრატია“ ბერძნული ფესვები აქვს: démos - ხალხი და cràtos- ძალაუფლება; ეტიმოლოგიურად იგი ნიშნავს: ხალხის მთავრობას. დემოკრატიის კონცეფცია არც მხოლოდ ერთ ვერსიაში განთავსებულა, და არც მხოლოდ ერთ კონკრეტულ თარგმანში, თავისი ისტორიული გამომხატველობა მან სხვადასხვა ფორმებსა და აპლიკაციებში ჰპოვა, ყველა მათგანს ახასიათებს იმგვარი მოდელი, რომელიც ხალხს ეფექტური მმართველობის ძალაუფლების უნარს ანიჭებს.

„ხშირად დაგვიბეჭდავს სიტყვა დემოკრატია. არ დავიღლები იმის გამეორებით, რომ ეს არის სიტყვა, რომლის ავთენტური საზრისი ჯერ კიდევ მიძინებულია, ჯერ კიდევ გამოუკვლევია, იმ უამრავი ქარტეხილებიდან გამოძახილის მიუხედავად, რომლებიც მის მარცვლებს გადმოსცემენ, გინდ კალმით, და გინდ ენით. ეს ძლიერი სიტყვაა, რომლის ისტორიაც ჯერ კიდევ დაუწერელია, რამეთუ ეს ისტორია ჯერ კიდევ მოქმედებაშია მოსაყვანი„ (უოლტ ვიტმანი).

დემოკრატიის ერთ-ერთი პირველი კლასიფიკაცია შეიძლება პირდაპირ და ირიბ დემოკრატიას შორის გაკეთდეს. პირდაპირი დემოკრატიის დროს, ძალაუფლება უშუალოდ ხალხის მიერაა მართული, როგორც ეს ანტიკურ საბერძნეთში ხდებოდა, რომლის მოქალაქეებიც აგორაზე (agorà: დღევანდელი მოედანი) იკრიბებოდნენ. ირიბ დემოკრატიაში ძალაუფება ხალხის მიერ არჩეულ ჯგუფზე გადადის (პარლამენტი). პირდაპირი დემოკრატიის იარაღი არის რეფერენდუმის გაუქმება და დანიშვნა, რასაც ადგენს პარლამენტი და მთავრობა, ან უშუალოდ მოქალაქეები, პეტიციების (ხელმოწერების შეგროვების) გზით. კონსტიტუცია ადგენს ყველა იმ ნორმას, რაც უცილობლად უნდა დაექვემდებაროს ხალხის ხმებს; მათ შორის: კონსტიტუციის და საკანონმდებლო კოდექსების, ასევე, სამოქალაქო და სადამსჯელო კოდექსების ნებისმიერი სახის ცვლილება. მაგალითად, საპარლამენტო რესპუბლიკებში (ანუ, სადაც ირიბი დემოკრატიაა) შეიძლება პირდაპირი დემოკრატიის იარაღების გამოყენება, ანუ რეფერენდუმი და საერთო სახალხო გამოკითხვა, იგივე პლებისციტი.

დემოკრატიის კონცეფციის ისტორიული ევოლუცია

დემოკრატია ისეთი სახელმწიფოებრივი ფორმაა, რომელიც დღევანდელ მსოფლიოში, თავისი 2000-წლოვანი ევოლუციური ეტაპით და მნიშვნელოვანი ისტორიული ცვლილებებით, განსაკუთრებული თვისებებით არის გამოხატული. დემოკრატიის პირველი დეფინიცია ანტიკურ საბერძნეთს მიეწერება (და არა მხოლოდ მას: ინდოელი სენის აზრით, დემოკრატია არ გახლავთ დასავლეთის მონაპოვარი; ამასთან დაკავშირებით, სენი ციტირებს ერაგუდის მიერ, ჩვ.წ-აღ-მდე III ს-ში, ინდოეთში გამოცემულ ბრძანებას, რაც ერთგვარ მანიფესტს წარმოადგენს ტოლერანტობის შესახებ). კიდევ ერთი მაგალითი გახლავთ არისტოტელეს პრინციპი, რომელიც განასხვავებს მთავრობის სამ წმიდა და სამ კორუმპირებულ ფორმას: მონარქია (ცალკეული პირის მმართველობა), არისტოკრატია (რჩეულთა მმართველობა) და პოლისია – politía (უმრავლესობის მმართველობა); ფილოსოფოსის აზრით, სამივე მათგანი, შესაბამისად, შეიძლება, გადაიზარდოს: დესპოტიზმში, ოლიგარქიაში (ელიტის მმართველობა) და დემოკრატიაში (მასის მიერ მართულ ხელისუფლებაში; ანუ უმრავლესობის დიქტატურაში, პოლიტიკურ „ქვანტიტავიზმში“ (რაოდენობრივ ნიშნულში), აქედან გამომდინარე კი, დესპოტურ და ავტორიტარულ ძალაუფლებაში).

დემოკრატიული პარლამენტის პირველი ჩანასახი გახლავთ ალბინგის (Alþingishúsið) ასამბლეა, დაარსებული ისლანდიაში, ჩვ.წ-აღ-ის 930წელს; მეორე იყო ჰუდენოსების ალიანსი (Haudenosaunee), რამაც ირლანდიური წარმოშობის ხუთი ერი გააერთიანა იმ ტერიტორიაზე, რომელიც დღეს დიდი ჩრდილო ამერიკული ტბების რეგიონადაა ცნობილი. თანამედროვე დემოკრატიის კონცეფციაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ილუმინისტების იდეებმა, რვაასიანი წლების რევოლუციამ, განსაკუთრებით კი საფრანგეთის რევოლუციამ, თავისი ლოზუნგით: თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა. როგორც 1787 წლის ამერიკის საკონსტიტუციო ქარტიაში, ასევე, 1791 წლის საფრანგეთის ქარტიაში წინა პლანზეა წამოწეული ძალაუფლების გამყოფი პრინციპები (საკანონმდებლო, სააღმსრულებლო, სამართლებრივი). საყოველთაო საარჩევნო უფლება: კონსტიტუციის პრიმატი და ძალაუფლებათა გაყოფა დემოკრატიის ბაზისს წარმოადგენს. მეორე მნიშვნელოვანი ნიშან-თვისება თანამედროვე დემოკრატიისა გახლავთ სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთმანეთისგან გაყოფა, ანუ სახელმწიფოსგან ყველა რელიგიის დამოუკიდებლობა. ეს პრინციპი მჭიდრო კავშირშია სახელმწიფოს საეროობის პრინციპთან. შედარებით მოგვიანებით, გავრცელდა ისეთი კონცეფცია, რომლის მიხედვითაც თანამედროვე დემოკრატიას უნდა ჰქონოდა თავისუფალი ბეჭდვის მედია, რამაც ასპარეზზე გამოიყვანა მეოთხე ხელისუფლება. დღეს მრავალი თვლის, რომ არსებულ ხელისუფლებას უნდა დაემატოს ავტორიტეტი (authority), ანუ ის, რაც უზრუნველყოფს კონკურენციას, და ასევე, სექტორი, რომელიც დაიცავს მოქალაქეებს და მათ პირად მონაცემებს, ანუ პრაივასს (privacy); ანტიკურ და თანამედროვე დემოკრატიას შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ პირველში უფრო მეტად თანასწორუფლებიანობის იდეა მძლავრობს, ხოლო მეორეში თავისუფლების. სწორედ ამის გამო, ანტიკურ დემოკრატიაში, სადაც მოქმედებდა მოქალაქეთა თანამონაწილეობის სისტემა (გარდა მონებისა, უცხო ტომებისა და ქალებისა), საარჩევნო მექანიზმებისა და როტაციის მეშვეობით, ლიბერალთა დემოკრატია ეყრდნობოდა კანდიდატებს შორის კონკურენციას და არჩევნების მიერ გადაცემული მანდატის მექანიზმებს. ზოგი ფიქრობს, რომ თანამედროვე ელექტრონული ტექნოლოგიები და ტელეკომუნიკაციის საშუალებები, გარკვეულწილად, პირდაპირი დემოკრატიის ანალოგიურ ფორმებს ამკვიდრებენ.

სამოქალაქო უფლებები

სამოქალაქო უფლებებში თანაბრად იგულისხმება სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური და ეთიკური უფლებები, ანუ ის, რაც თანამედროვე დემოკრატიის საფუძველს წარმოადგენს. ყველა ეს უფლება თავის სრულყოფილ დეფინიციას XX ს-ში იღებს, თუმცაღა ზოგიერთი უფლება, რომელიც ეხება ბიოეთიკის სფეროს, ჯერ კიდევ განსჯის საგანია.

• **სამოქალაქო უფლებები:** თვითგამოხატვის თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება, პირადი უსაფრთხოების უფლება, კულტის თავისუფლება, ბეჭდვითი სიტყვისა და ინფორმაციის თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება, გაფიცვის უფლება, საჯარო მანიფესტაციის უფლება (მოყოლებული XVIII ს-დან).
• **პოლიტიკური უფლებები:** არჩევნების უფლება, პოლიტიკური კანდიდატურის უფლება, პარტიულობის უფლება (XIXს.).
• **ეკონომიკური უფლებები:** კერძო საკუთრების უფლება, პირადი კაპიტალის დაბანდების თავისუფლება, კონტრაქტების გაფორმების უფლება, თავისუფალი ბაზარი, წარმოებისა და ეკონომიკური პერსონალის დაარსების უფლება (XVIIIს.).
• **სოციალური უფლებები:** სოციალური თანადგომა, ჯანდაცვის საყოველთაო მომსახურება, სამუშაოს თანაბარი უფლებები (რელიგიური, ეთნიკური, კულტურული თუ სქესობრივი განსხვავების გარეშე), ხმის უფლება ემიგრანტთათვის, თანაბარი განათლების მიღების საყოველთაო უფლება (XXს.).
• **ეთიკური უფლებები:** საკუთარი სხეულის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის უფლება, სექსუალური ორიენტაციის თავისუფლება, ფსიქოაფექტური ნივთიერებების (ალკოჰოლი, ნარკოტიკი, წამლები) გამოყენების უფლება, მეცნიერულ კვლევათა თავისუფლება, ხელოვნური განაყოფიერების ტექნოლოგიების გამოყენებისა და აბორტის უფლება, ევთანაზიის უფლება, ბიოლოგიური ტესტირების უფლება, სუიციდის ხელოვნურად გამოწვევის უფლება, იარაღის თავისუფალი შენახვის უფლება; (XXს-ის ბოლოდან).

წინააღმდეგობები დემოკრატიაში

უახლესი კვლევები ნათლად აჩვენებენ, რომ დემოკრატია არ არის სრულიად ჩამოყალიბებული და კარგად განსაზღვრული ფენომენი, როგორც ამას ზოგადად მიიჩნევენ. ფაქტობრივად, ფილოსოფიური თვალსაზრისით, დემოკრატია აშკარად ჩამოუყალიბებელი კონცეფციაა. პირველი, რის გამოც დემოკრატიას აკრიტიკებენ, მასშივე არსებული პარადოქსია, ანუ: თუკი ადამიანთა უმრავლესობა ანტიდემოკრატიულ მთავრობას მოისურვებს, დემოკრატია მყისვე შეწყვეტს არსებობას. ხოლო თუ დემოკრატიის შეწყვეტას დაუპირისპირდები, მაშინ უმრავლესობის ნების წინააღმდეგ მიდიხარ.
ამდენად, დემოკრატია პრაქტიკულად არ შეიძლება არსებობდეს, იგი მხოლოდ უტოპიური თეორიაა. ამის კლასიკური მაგალითია ქვეყანა, სადაც წარმოდგენილია ერთი რელიგიის უმრავლესობა, და სადაც ერთ პარტიას ხელისუფლებაში მოჰყავს რელიგიური ლიდერები, რითაც უარყოფს სახელმწიფოს საეროობის პრინციპს და თეოკრატიის დამყარება სურს.
მეორე ადგილზე დგას სემანტიკური ფაქტორი, რაც ძალზე ხშირად არასწორად აღიქმება: სიტყვები – „დემოკრატია“ და „თავისუფლება“ არ წარმოადგენენ სინონიმებს. ყოველი პოლიტიკური სისტემა შეიძლება იყოს დემოკრატიული, ან არადემოკრატიული. ნებისმიერ პოლიტიკურ სისტემაში შეიძლება არსებობდეს, ან არ არსებობდეს თავისუფლება. ეს ორი სიტყვა სრულებით არ უწყობს ერთმანეთს ფეხს. რომელიმე სისტემაში შეიძლება იყოს დემოკრატია თავისუფლების გარეშე და შეიძლება იყოს თავისუფლება დემოკრატიის გარეშე. ასე რომ სიტყვა თავისუფლების გამოყენება უზენაეს ხარისხში შეიძლება დემოკრატიის და თავად ადამიანის ღირსების სამარხად იქცეს.

დემოკრატიის გამჭვირვალობა

იტალიის პრეზიდენტმა ჯორჯო ნაპოლიტანომ შემდეგი განაცხადა: „პოლიტიკა მთლიანად ვერასოდეს გაშიშვლდება საკუთარი იდეური და სულიერი კომპონენტებისგან, მიუხედავად იმისა, რომ მასში უამრავი ამორალობაა“...
მოქალაქეს კარგად ესმის, რომ დემოკრატიულ მთავრობასაც სჭირდება და უფლება აქვს, თავი დაიცვას შიდა და გარე მტრების შემოტევებისგან; კარგად ესმის, რომ სახელმწიფო და მთავრობა ვერსა გახდება საიდუმლო სამსახურებისა და შპიონაჟის გარეშე, სხვაგვარად, დემოკრატიული ინსტიტუტები უძლურნი იქნებიან მაფიისა თუ უცხო ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში. დღეს კი მსოფლიო დონის ტერორიზმი და ნარკოტიკებით ვაჭრობა უფრო მეტ ძალისხმევას საჭიროებენ ასეთი სამსახურებისგან. რამდენი სიცრუე, რამდენი უსიტყვო მორჩილება, სახელმწიფო აპარატების მიერ რამდენი უკანონობა უნდა აიტანოს დემოკრატიამ, ისე რომ არ გაირყვნას? რამდენი რეპრესიული ძალისხმევა სჭირდება იმისათვის, რომ თავისი მტრების წინააღმდეგ გაილაშქროს, ისე რომ ყველაზე ელემენტარული ადამიანური უფლებები არ დაარღვიოს, და არ უარყოს ის ღირებულებები, რასაც თავად ეფუძნება? დემოკრატია, რომელიც დაიბადა და მომწიფდა აბსოლუტიზმის წინააღმდეგ მიმართული პირველი ინგლისური ლიბერალიზმით, პოლიტიკის ცენტრში აყენებს პარლამენტს, რითაც გამოხატავს ნებას, რომ სახელმწიფოები მართული იყოს სამართლიანობის პრინციპით და არა სახელისუფლებო პალატების უზენაესი საიდუმლოთი, ამორალური საშუალებებით, მოჩვენებითობით, თვალთმაქცობით და სიმულაციით.
ბაროკოს დროინდელმა პოლიტიკურმა მოაზროვნეებმა, რომლებიც ხუთასიანი წლების იდეას მისდევდნენ, სამეფო მენტალობა და წესები სიმულაციის საბურველში გახვიეს. ეს თემა ჯერ კიდევ კლასიკოსი და შუა საუკუნეების ფილოსოფოსების მიერ იქნა შესწავლილი და გამოკვლეული, როგორც მორალური მართებულობის პრობლემა. მაგრამ თანამედროვე ეპოქაში, მაკიაველის ზეგავლენით, სიმულაცია ორმაგ სახეს ღებულობს და იგი მკვიდრდება, როგორც აუცილებელი პოლიტიკური ქმედება.
მაკიაველის აზრით, სიმულაცია (ზრახვების, სიმართლისა და გრძნობების დამალვა) და თვალთმაქცობა (თავის მოკატუნება, მოჩვენება) მთავრობის საყრდენია. მთავრობა ვერ გაძლებს თავის მოკატუნების,

სიცრუის, ხელოვნურობის, გარდასახვის გარეშე, ვერ გასცილდება მელიისა და ლომის, შესაბამისად, ცბიერებისა და ძალის სიმბოლოებს. სახელმწიფოს შესახებ არსებულ ტრაქტატებში სიმულაცია მოაზრებულია, როგორც პოლიტიკური კონტროლის ტექნიკა, ნორმათა ერთობლიობა, რომელიც პოლიტიკური სტაბილურობის გარანტს წარმოადგენს. ეს რაც შეეხება პრინციპებს, ხოლო ინდივიდების მხრიდან, რომლებიც ბაროკოს ეპოქაში ცდილობდნენ, პოლიტიკური, რელიგიური და სოციალური წნეხისაგან გათავისუფლებულიყვნენ და საკუთარი იდეებისთვის დაეთმოთ ადგილი, სიმულაცია, თვალთმაქცობასთან ერთად, ხდება კონსერვანტობის წინააღმდეგ მიმართული იარაღი.

დესპოტიზმსა და ლეგიტიმიზს მოსდევს აზროვნების ემანსიპაცია, რაც საიდუმლოს შენახვის პრინციპს გულახდილი და გასაგები საუბრით ცვლის, ძალაუფლების პრაქტიკიდან განდევნის სიმულაციას და თვალთმაქცობას, სამაგიეროდ კი შემოჰყავს გამჭვირვალობა. ცხადია, ეს ფენომენი დაწყებულია, მაგრამ არა დასრულებული. მასში პერიოდულად დაშვებულია შეჩერებები, დაგვიანებები, იმდენად, რამდენადაც ყველა ეპოქაში სცოდავენ ადამიანები, რომლებიც თვალთმაქცობენ და სიმულირებენ იმავე ცბიერებით, როგორითაც ბაროკოს დროინდელი ადამიანები: ეს ტენდენცია ყველაზე მეტად აფერხებს სამოქალაქო საზოგადოების ზრდას და ხელს უწყობს იმ ძალოვანთა ზეგავლენას, რომლებიც დღეს რაღაც ფორმით ანტიკური სახელისუფლო კაბინეტების ტყვეობაში არიან.

პროგრესული დემოკრატიის მიერ მოთხოვნილი გამჭვირვალობა სერიოზულ საფრთხეს აწყდება იმ სფეროში, რაშიც, საკმარისი მიზეზების გამო, იგი ბევრისთვის უაზრობად არის მიჩნეული. გამჭვირვალობის დემოკრატიული იმპერატივი ვერ იქნება უზენაესი, რამეთუ ყველაზე სრულყოფილ დემოკრატიაშიც კი მოქმედებს დიპლომატია და მთლიანად არასოდეს ქრება ომის მოჩვენება: დიპლომატია, პოლიტიკური საქმეები, ომი, ანუ ყველაფერი ის, რომლისთვისაც გარდაუვალია სიცრუე, ან სიმართლისა და გამჭვირვალობის ნაკლებობა.

პოლიტიკური მიზნით ნათქვამი სიცრუე ძალზე ხშირია და ალბათ, წესადაც კი იქცა. მაგრამ დემოკრატიულ ქვეყნებში სიტყვისა და კრიტიკის თავისუფლება ფრთებს უკვეცს მას, ისე რომ განსხვავება მართალსა და ტყუილს შორის მაინც არ ქრება. ანუ უნდა ითქვას, რომ სიცრუე, თვალთმაქცობა და სიმულაცია მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების ექსკლუზივი არ გახლავთ, იგი ფართოდ არის დანერგილი დემოკრატიული მთავრობების მიერაც. მიუხედავად ამისა, მაინც გვჯერა, რომ დემოკრატია არის ყველაზე სამართლიანი სისტემა, რადგანაც მხოლოდ იგი იმყოფება ჰარმონიაში ადამიანის აზროვნებასთან, თავისუფლებასთან, პიროვნების ღირსებასთან. მასთან შედარებით, სხვა სისტემები მეტ-ნაკლებად სამართლიანი, ან სულაც უსამართლონი არიან.

თანამედროვე ადამიანს კარგად მოეხსენება, რომ პოლიტიკური ძალაუფლება ოპორტუნიზმის საზომით იზომება, იმით, რაც სასარგებლოა, ან დამაჯერებელი მოქალაქისთვის, მაგრამ იგი საკუთარ თავს საზოგადოების ინტერესებისა და მიზნების გარანტად წარმოაჩენს: ხოლო ეს ილუზია რომ კვებოს, მას სჭირდება შედარებით ეფექტური დემაგოგიური იარაღი, რომელიც დემოკრატიისთვის დამახასიათებელი ბოროტებაა.

პოლიტიკური კლასი, არცთუ იშვიათად, იძულებულია, თავის მხარდამჭერთა სასარგებლოდ მიიღოს გადაწყვეტილება, მაგრამ გასაგებად ვერ განმარტავს თავისი გადაწყვეტილების ნამდვილ მოტივს, რადგან იცის, რომ მას ეს დააზიანებს. ამიტომაც იძულებულია, შენიღბოს საკუთარი გადაწყვეტილებები ტენდენციური საუბრებით და სხვაგვარად მოაჩვენოს თავისი არჩევანი. ამიტომაც დემაგოგია „არის ხის ჭია, რომელიც იბუდებს თავად ძალაუფლების მორში, იმ ძალაუფლების, რომლისთვისაც მთავარია არა არსი, არამედ საზოგადოების ძირითადი ინტერესების დამცველად წარმოჩენა“ ამრიგად, ხალხის მოტყუება აუცილებელია თვით განვითარებულ და გულგრილ საზოგადოებაში, რამეთუ სიცრუის საჭიროება დამოკიდებულია არა რომელიმე საზოგადოების სტრუქტურაზე, არამედ ძალაუფლების ბუნებასა და ფუნქციაზე. სიცრუე ყველა საზოგადოების მტერია, იგი უნდობლობას ავრცელებს ადამიანებში და სოციალურ ურთოერთობებს ლახვარს სცემს.

დემოკრატია და პოლიარქია

მსოფლიოს ქვეყნების უდიდესი ნაწილი დღეს საკუთარ თავს „დემოკრატიულად„ მიიჩნევს. თუმცა დემოკრატიულ ქვეყნებს შორის შეიძლება გამოვარჩიოთ დემოკრატიის სხვადასხვა საფეხურები; ყოველთვის არაა ადვილი ამა თუ იმ სახელმწიფოს დემოკრატიულობის შეცნობა. სხვადასხვაგვარი კვლევები შესრულდა იმ მიზნით, რომ დაედგინათ სახელმწიფოს დემოკრატიულობის ხარისხი. ბოლოდროინდელი, ანუ 2008 წლის გამოკვლევიდან ირკვევა, რომ შვედეთი მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული ქვეყანაა, იმ პარამეტრების მიხედვით, რაც The Economist-მა დაადგინა, ხოლო ამ კლასიფიკაციას ჩრდილოეთ კორეა ასრულებს. დემოკრატიის მთავარი გასაღები ამა თუ იმ ერში წარმოდგენილი დემოკრატიული კულტურაა („პოლიტიკური დემოკრატია“, მოქალაქეებში წარმოდგენილი დემოკრატიული კულტურის გარეშე, ვერ ჩაითვლება დემოკრატიად). უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე დემოკრატიის ხარისხი მსოფლიოში უდავოდ გაიზარდა. შეიძლება ითქვას, რომ იგი არის ყველაზე ადექვატური იარაღი მოქალაქეთა თანასაწორუფლებიანობის საკითხში. რომის კათოლიკე ეკლესიამ, რომელიც XIX საუკუნეში საარბიტრაჟო იდეოლოგიის გამო დაუპირისპირდა „დემოკრატიას“, პიუს XII-ის პაპობის დროს, საბოლოოდ შეძლო განესაზღვრა, რომ ეს იყო სახელმწიფოებრივი ფორმა, რომელიც ყველაზე უკეთ პასუხობდა ეკლესიის სოციალურ სწავლებას. მიუხედავად ამისა, დიდი ყურადღებით საუბრობდნენ იმაზე, რაც დემოკრატიული მოდელის ძირითად ბირთვს წარმოადგენდა. თანამედროვე დემოკრატია არ ემთხვევა უმრავლესობის უზენაეს ძალაუფლებას. უმცირესობის ან ერთპიროვნულ ძალაუფლებაზე არანაკლებ საშიშია უმრავლესობის უზენაესი ძალაუფლება. ისტორიაში ჩვენ მოწმე ვყოფილვართ უმრავლესობის ხმებით მოპოვებული ტოტალიტარული რეჟიმებისა. საკითხის

არსი იმაში მდგომარეობს, რომ თანამედროვე დემოკრატია შეზღუდულობის და პლურალიზმის პოლიტიკური რეჟიმია. თუკი თანამედროვე საზოგადოებას გადავხედავთ, უნდა აღინიშნოს, რომ კარგი საზოგადოება არის პლურიფორმული და არა უნიფორმული, პოლიარქიული და არა მონარქიული, დემოკრატიული და არა ავტორიტარული, საერო და არა თეოკრატიული: დღეს უკვე შეგვიძლია ისიც ვთქვათ, რომ არის არა დახურული, არამედ ღია საზოგადოება, რომელშიც „ჯანსაღი აგონიზმია". ამ საზოგადოებაში არც ერთი ფენა და არც ერთი ცალკეული ინსტიტუცია არ განკარგავს საერთო სიკეთეს, პირიქით, ის უნდა იყოს ცალკეული ინდივიდისა და ცალკეული ჯგუფის ქმედების საზომი.

დემოკრატიის დიდი მკვლევარი რ. დალი საუბარს ამჯობინებს პოლიარქიაზე, ანუ დემოკრატიის ისეთ ფორმაზე, რომელიც საკონსტიტუციო ძალაუფლების გათიშვისა, და ასევე, ძალაუფლების ლიმიტის შეკვეცის პარალელურად, გულისხმობს ძალაუფლების სოციალურ დანაწევრებას, და ამდენად, ფუნქციათა და სოციალური ინსტიტუციის პლურალურობის შეუქცევად კონცეფციას, ანუ: ეკონომიკურს, სამეცნიეროს, რელიგიურს, და ასევე, პოლიტიკურს. ამიტომაც თანამედროვე დემოკრატიისათვის ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს დემოკრატიის დაბრუნება პოლიტიკურ სივრცეში. ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია მნიშვნელოვანი ძვრები საეკლესიო სწავლებაში, რაც, ალბათ, მრავალთათვის მნიშვნელოვან დახმარებად იქცა. ბენედიქტე XVI-ს თავის ენციკლიკაში „Catitas in veritate" (თ.57), ეკლესიის სოციალური სწავლების ლექსიკონში შემოაქვს ტერმინი „პოლიარქიული", როგორც გლობალური მართვის (governance) რეფორმის გარემოში, ასევე პოლიტიკისა და ეკონომიკის სფეროშიც. გლობალიზაციის კეთილშობილური სისტემა, – აცხადებს პაპი, – „სუბსიდიისა და პოლიარქიული" გზით არის ამოქმედებული. იგი იხსენებს ერთ-ერთ პრინციპს, რომელიც კათოლიკე ეკლესიის სოცალურ სწავლებას ახასიათებს. პოლიარქიული სოციალური კავშირების პოზიტიურად შეფასება ნიშნავს, გაითვალისწინო, რომ როდესაც სოციალურ ცხოვრებას მხოლოდ ერთი ძალაუფლება განაგებს, ის ყოველთვის დიდი რისკის ქვეშ აღმოჩნდება, როგორც ეს მოცემულია, მაგალითად, თანამედროვე თეორიებში სახელმწიფოს შესახებ. ამიტომაც ნიშნავს პოლიარქიული მიზეზების დაცვა პოლიტიკური ძალაუფლების ტენდენციის განეიტრალებას. და ასეა ყველა სფეროში. პოლიარქიული სოციალური წესრიგის მნიშვნელობა მჭიდროდ უკავშირდება სუბსიდიის პრინციპს. ენციკლიკაში პაპი აგრძელებს თავის კრიტიკას: „იმისათვის რომ გზა არ გაეხსნას საშიშ და საყოველთაო მონოკრატიულ ძალაუფლებას, ხელისუფლება უნდა იყოს სუბსიდიური ტიპის". პოლიარქიასთან ამგვარი კავშირის ჩვენებით, პაპი მიუთითებს „ჰორიზონტალური სუბსიდიის" (პოლიტიკას, ეკონომიკას, მეცნიერებას და სხვ. სფეროებს შორის) და „ვერტიკალური სუბსიდიის" ეფექტზე (სათავიდან ქვედა ინსტანციებში). პაპის აზრით, აუცილებელია პოლიარქიული სოციალური წესრიგის წახალისება, სადაც, ერთმანეთის გაკონტროლებისა და შეზღუდვების გზით, თავს მოიყრის ინსტიტუციები, ხელისუფლება და სხვადასხვა სფეროები, მათ შორის, რელიგიები, რასაც ენციკლიკა მოიხსენიებს საზოგადო სცენაზე გამოსულ ახალ შემოქმედებად. ამ თვალსაზრისით, სრულიად გადაილახება საერო ცხოვრების ის კონცეფცია, რომელიც რელიგიურ ინსტიტუციებს პრივატულ სფეროში მოიაზრებს. გავიხსენოთ ორი ისტორიული ფიგურა, ტოქვილი და როზმინი, რომლებიც, პლურალიზმზე, პოლიტიკის ხარვეზებსა და დემოკრატიულ რეჟიმზე თავიანთ საუბრებში, სწორედ ამ ძირითად ელემენტებს გვთავაზობდნენ. საბოლოო ინსტანცია არის პოლიტიკური ძალაუფლების რელატივიზაცია, და უწინარესად, სახელმწიფოს ფორმით გადმოცემული პოლიტიკური ძალაუფლება. ბენედიქტე XVI-ის ენციკლიკა, ფაქტობრივად, იღებს გლობალიზაციით გამოწვეულ სახელმწიფო ძალაუფლების რელატივიზაციას (ნნ.24;37), თუმცა აქვე ახსენებს მთავრობათა წახალისების სასწრაფო საჭიროებას, თვით საპლანეტაშორისო ჭრილში. ასეა თუ ისე, ჩვენ იმედი უნდა გვქონდეს, რომ როგორც ადგილობრივ, ასევე მსოფლიო დონეზე, გვაქვს ინსტიტუციების პლურალურობა, რომლებიც მთელი პასუხისმგებლობით იჭრებიან საინსტიტუციო წესებში, რათა ერთიანი ოჯახის კეთილდღეობაში თავიანთი წვლილი შეიტანონ. ეს მოვალეობა მხოლოდ პოლიტიკურ ძალებს როდი აკისრიათ, იგი საზოგადოების ყველა შემადგენელ ნაწილს ევალება. ამ თვალსაზრისით, სასურველია, მრავალმხრივი პოლიარქიის შექმნა. შეიძლება ასე ითქვას, რაც უფრო პოლიარქიულია საზოგადოება, მით უფრო პროგრესულია, და როგორც ბენედიქტე XVI აღიარებს: „საერთო სიკეთის მიზნით, ვალდებულება ნიშნავს, ერთი მხრივ, იზრუნო და მეორე მხრივ, დაეყრდნო მთელ იმ კომპლექსურ ინსტიტუციებს, რომლებიც იურიდიულად, მოქალაქეობრივად, პოლიტიკურად და კულტურულად აგებენ სოციალურ ცხოვრებას, რომელიც სწორედ მათი მეშვეობით იღებს pòlis-ის, ანუ ქალაქის ფორმას". შეგვიძლია, საუბარი გავაგრძელოთ და აქვე ისიც ვიკითხოთ, ხომ არ აჯობებდა, გვეფიქრა საერთო სიკეთის პლურალურ, და არა ინდივიდუალურ ფორმაზე აგებულ საზოგადოებაზე, საერთო სიკეთე, რომელიც სხვადასხვა სოციალური სამყაროს იდეალად აღიქმება, რისგანაც თანამედროვე საზოგადოება შედგება. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მომავლის ქალაქი გადავა მთელი საზოგადოების, სკოლებისა და წარმოებების, რელიგიური და ქრისტიანული სათემოებისა და, ცხადია, პოლიტიკური ინსტიტუციების ხელში. მაგრამ მთელი ეს რეალობა ორიენტირებული უნდა იყოს საერთო სიკეთისკენ. დღეს მსოფლიოს სჭირდება სულგრძელი სიყვარულისა და ღრმად მოაზროვნე უნარის მქონე ადამიანები. სწორედ ისინი გამოაცოცხლებენ, გაალამაზებენ და დიდსულოვანს გახდიან ჩვენს ქალაქს. დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ახალგაზრდებს, უნდა დაიძლიოს ნაციონალიზმი, ასოციალურობა, იზოლაცია, პასივიზმი, უნდობლობა, შემგუებლობა, რომელიც ფარულად მაინც დევს ახალ თაობაში, და არა მხოლოდ მათში. დიდი პასუხისმგებლობაა ახალი თაობების მიღება და დახმარება. სწორედ მათ ხელშია ჩვენი საზოგადოების, ჩვენი ქალაქის მომავალი.

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

მათთვის, ვინც არჩევნებში გაიმარჯვა...

30 მაისის არჩევნების შედეგების ფონზე, რის მიმართაც აშკარა კმაყოფილებას გამოხატავენ ევროპელი დამკვირვებლები, ნამდვილად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სოციალურ-პოლიტიკური პასუხისმგებლობის დონე იზრდება და მწიფდება. ხოლო ახალგაზრდა თაობას თუ დავაკვირდებით, რომლებიც განსხვავებულად აზროვნებენ და ფიქრობენ, უთუოდ ეს კითხვა დაგვებადება: ისწავლეს კი მათ დემოკრატიის დაფასება, ან მისი პატივისცემა, ცდილობენ ისინი საერთო სიკეთის ძიებას, ან რელიგიისა და სახელმწიფო პრინციპების ერთმანეთისგან გარჩევას? და რაც შეეხება მათ, ვინც არჩევნებში გაიმარჯვა, გარდა იმისა, რომ მთელი გულით ვუსურვებთ საარჩევნო კამპანიის მანძილზე მიცემული დაპირებების პირნათლად შესრულებას, იმასაც ვურჩევდით, რომ დიდი გულისხმიერება გამოიჩინონ სამოქალაქო ცხოვრების მნიშვნელოვანი ასპექტების მიმართ და ადამიანის უფლებებს პატივისცემით მოეკიდონ.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში (1948 წ.) ვკითხულობთ: „ყოველი ინდივიდი უფლებამოსილია, დაიცვას სოციალური და საერთაშორისო წესრიგი, სადაც გაცხადებული (...) უფლებები და თავისუფლებები მთლიანად შესრულდება“ (თ. 28). რა დაეხმარება უფლებებს და მასთან დაკავშირებულ თავისუფლებებს იმ კუთხით, რომ სრულყოფილი ფორმებით შეძლონ თვითგამოხატვა? ეკლესიის აზრით, ამაში იგულისხმება რელიგიური თავისუფლების უფლება; სწორედ იგი იცავს და ზრდის სოციალური, ეროვნული და საერთაშორისო ცხოვრების ეთიკის არსს; უფლებას აძლევს ერებს, რომ ჰარმონიაში იყვნენ სიკეთე-ფასეულობის იმ ძირითად ბირთვთან, რაც საყოველთაო დეკლარაციაში განსხვავებულ კულტურათა, რელიგიათა, სამართლებრივ სექტორთა საერთო მემკვიდრეობად განისაზღვრა. რელიგიური თავისუფლება მართლაც არის, გარკვეულწილად, ადამიანური ღირსების ეთიკური „ხერხემალი“, რომელიც თავიდან ბოლომდე გასდევს მას. უფლებები და თავისუფლებები მაშინ სუსტდებიან, როდესაც ამ ხერხემალს მოწყდებიან. ვატიკანის მეორე კრების დეკლარაციაში რელიგიური თავისუფლება სახელდებულია, როგორც „Dignitatis humanae“ (ადამიანის ღირსება), რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ადამიანის ღირსება საკრალური და სულიერია, რომ იმავე ადამიანის თავისუფლება არის რელიგიური თავისუფლება, ადამიანის ნების უზენაესი გამოხატულება. მასში შემდეგს ვკითხულობთ: „თუკი ადამიანს საზოგადოებაში თავისუფალ რელიგიურ მსახურებას მოუსპობ (...),შეურაცხყოფ პიროვნებას (...). ყველა ადამიანი დაცული უნდა იყოს ცალკეული პირისა თუ სოციალური ჯგუფების, აგრეთვე, ნებისმიერი ადამიანური ხელისუფლების მხრიდან ძალადობისაგან. რელიგიის სფეროში დაუშვებელია, აიძულო ვინმე, იმოქმედოს საკუთარი სინდისის წინააღმდეგ (...) როგორც კერძო, ასევე საჯარო საქმეებში“. შეუძლებელია, ვერ დავინახოთ საერთო შეხების წერტილი ახლახანს მოყვანილ ციტატასა და საყოველთაო დეკლარაციას შორის: „ყოველ ინდივიდს აქვს აზროვნების, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება; ამგვარი უფლება მოიცავს რელიგიის ან მრწამსის შეცვლის თავისუფლებას, ინდივიდუალურად ან ერთობით, საჯაროდ ან კერძოდ, საკუთარი რელიგიის, ან საკუთარი მრწამსის გამოხატვის თავისუფლებას, პრაქტიკულად, საკულტო მსახურებასა და რიტუალების დაცვაში“. ეს ნორმა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ დასამკვიდრებელია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში: პიროვნებები და გაერთიანებები საჯაროდ ვერ აღიარებენ და ვერ გამოხატავენ რელიგიურ თავისუფლებას. რელიგიური თავისუფლება უთუოდ კომპლექსური ფენომენია. ჩვენ სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ ნებისმიერი ინსტრუმენტული ფორმით დასჯასა და რელიგიურ შეურაცხყოფაში, რაც პიროვნების შეურაცხყოფად და მანიპულირებად აღიქმება ძალისმიერი, ფანატიკურად განწყობილი ჯგუფების მხრიდან. ამავე დროს, წახალისებასა და დაცვას იმსახურებს რელიგიური თავისუფლება იქ, სადაც მას ემუქრება საფრთხე, ღირსების შელახვა და უგულებელყოფა. დიდ რელიგიებს, სახელმწიფოსა და რელიგიების კომპეტენტური სფეროებისა და, ასევე, სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული პრინციპების პატივისცემით, თავიანთი წვლილი უნდა შეჰქონდეთ სოციალური და საერთაშორისო წესრიგის დამყარებაში, რაც მთლიანად დაეფუძნება ადამიანის ღირსებას, და რომელშიც ძირითადი უფლებები და თავისუფლებები მთლიანად მოვლენ მოქმედებაში. კონკრეტული სოციალური და საერთაშორისო წესრიგი გვერდს ვერ აუვლის დიდი რელიგიების ცოდნას და გამოცდილებას, მათ ფასეულობებსა და პრინციპებს.

დროა, საქართველოშიც სერიოზულად დაფიქრდნენ თავიანთი მოქალაქეების რელიგიურ თავისუფლებაზე, და არა მხოლოდ უმრავლესობის რელიგიაზე, რათა ეს ყველაფერი თეოკრატიის ახალ ფორმაში არ გადაიზარდოს. მსოფლიოში უამრავი ნათელი მაგალითია იმისა, როცა სახელმწიფო და ეკლესია ერთმანეთისგან არაა გათიშული, როცა რომელიმე ქვეყანაში არ ხდება რელიგიური ტრადიციების აღიარება და შეფასება. მოდით, გავიხსენოთ ის, რაც ილიას უნივერსიტეტში მოხდა, სადაც ერთი წიგნის პრეზენტაცია, რომელიც სხვების რწმენაზე ქილიკობდა, ისეთივე მიუღებელ პროტესტად იქცა იმ ჯგუფის მიერ, რომლის ნევრებიც აგერ უკვე წლებია, მთელ საქართველოში ისე დაძრწიან „ერეტიკოსი პაპისტების“ წინააღმდეგ და მათ მიმართ არავითარი რეაგირება არ ხდება; ან თუნდაც, გავიხსენოთ ის, რაც 26 აპრილის „კვირის პალიტრის“ მე-8 გვ.-ზე დაიბეჭდა, რამდენიმე თვის წინ facebook-ზე კათოლიკე ეკლესიების დაბრუნების შესახებ გაჩაღებული კამათის შესახებ: სთხოვეს კი თავისი აზრის გამოთქმა რომელიმე კათოლიკეს, ან კათოლიკე ეკლესიის ეპისკოპოსს, როგორც ეს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსისგან ითხოვეს? უცნაურია, მაგრამ ფაქტია! რელიგია კვლავ და კვლავ გამოიყენება მისთვის უცხო მიზნებისთვის, და ეს სწორედ ადამიანთა რელიგიური თავისუფლების პატივისცემისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო! თავისუფლება კვლავ და კვლავ მოიაზრება იმის პირობად, რაც საშუალებას მისცემდა მავანთ და მავანთ, მიეჩქმალათ რელიგიური თავისუფლებისადმი პატივისცემა, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ასე სურთ.

მამა
გაბრიელე ბრაგანტინი

ვიზიტი კვიპროსზე. მნიშვნელოვანი ნაბიჯი ერთობისკენ

ამა წლის 4-6 ივნისს გაიმართა ბენედიქტე XVI-ის ვიზიტი კვიპროსზე, უფრო ზუსტად კი კუნძულის სამხრეთ ნაწილში, კვიპროსის რესპუბლიკაში. როგორც აღნიშნა წმიდა საყდრის დესპანმა კვიპროსზე, მთავარეპისკოპოსმა ანტონიო ფრანკომ სააგენტო „ზენიტის“ წარმომადგენლთან საუბრისას, პაპის ვიზიტს სამი მიზანი ჰქონდა: ევანგელიზაცია, სამოძღ-

ვრო ზრუნვა და ეკუმენიზმი. წმიდა საყდრის პრეს-სამსახურის განცხადებით, ვიზიტი ძალზე დროული და წარმატებული იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგნოზებისა და ანტიეკუმენისტური წრეების ნეგატიური განწყობის მიუხედავად, ვიზიტმა პროტესტის მწვავე დემონსტრირების გარეშე ჩაიარა.

ეს ბენედიქტე XVI-ის პირველი ვიზიტი იყო მართლმადიდებლურ ქვეყანაში; კვიპროსმა, პირველად თავის ისტორიაში, უმანსპინძლა რომის კათოლიკე ეკლესიის მეთაურს. ვიზიტის მსვლელობისას, ბენედიქტე XVI-მ აღნიშნა, რომ კვიპროსს, როგორც მთავარ დამაკავშირებელ რგოლს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, განსაკუთრებული როლი ეკისრება ეკლესიათა შორის დიალოგსა და თანამშრომლობაში. „საერთაშორისო საზოგადოებრიობა დიდი ინტერესითა და იმედით შემოგცქერით თქვენ, რომელმაც ეს რთული გზა აირჩიეთ. მინდა, მადლობა გადაგიხადოთ თქვენი ხალხის, მთელი კვიპროსის და მსოფლიოს კეთილდღეობისთვის გაწეული ღვაწლისთვის. ჩვენი მოწოდებაა ყოვლისშემძლე ღმრთის მორჩილება, ერთმანეთის მტკიცე სიყვარული და ძმობა“, – აღნიშნა უწმიდესმა პაპმა კვიპროსის მთავარეპისკოპოსისადმი მიმართვაში.

პაპმა გულისტკივილით აღნიშნა ის, რაც მან თავისი დროებითი სამყოფლის – ნუნციატურის ფანჯრებიდან დაინახა: „ნიკოსიაში მე დავინახე კუნძულის გაყოფის დამთრგუნველი ნიშნები; ასევე შევიტყვე დაკარგული კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, რომელიც მთელ მსოფლიოს ეკუთვნის; ვნახე კვიპროსელები, რომელთაც საკუთარ სახლებში დაბრუნება სურთ. ამ კუნძულის გაერთიანებისა და მშვიდობიანი მომავლის საწინდარი სიმართლე და ურთიერთპატივისცემაა. გასული წლების დიალოგმა ბევრი სიკეთე მოიტანა, თუმცა უთანხმოებათა დასაძლევად ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი“. საქმე იმაშია, რომ წმიდა საყდრის საელჩო ე. წ. ბუფერულ ზონაში მდებარეობს, იმ კედლის პირდაპირ, რომელიც ნიკოსიას ორ ნაწილად ყოფს.

ვიზიტის პროგრამა არ ითვალისწინებდა პაპის შეხვედრას კვიპროსის თურქული თემის წარმომადგენლებთან, თუმცა შეხვედრა მაინც შედგა. 5 ივნისს, ნიკოსიის წმიდა ჯვრის ტაძართან, სადაც პონტიფექსმა წირვა აღავლინა, მას ცნობილი სუფი მუჰამედ ნაზიმ ადილი მიეგება. დიალოგი ხანმოკლე, მაგრამ ძალზე გულითადი იყო. მასმედიის წარმომადგენლები ეჭვს გამოთქვამენ იმის თაობაზე, რომ შეხვედრა შემთხვევის, ან მხოლოდ სუფის კეთილი ნების შედეგი იყო. ასეა თუ ისე, სამგზის ამბორი და ერთმანეთისთვის ნათქვამი „ილოცე ჩემთვის“ იმედის კიდევ ერთი ნაპერწკალია მათთვის, ვინც სხვადასხვა რელიგიის აღმსარებელთა მშვიდობიანი თანაარსებობისთვის იღვწის.

ვიზიტი კვიპროსზე პონტიფექსის რიგით მე-16 მოგზაურობა იყო უცხოეთში. 2010 წელს დაგეგმილია კიდევ ორი ვიზიტი: სექტემბერში ბენედიქტე XVI დიდ ბრიტანეთში მიემგზავრება, ნოემბერში კი ესპანეთში.

კვიპროსის მთავარეპისკოპოსის ქრიზოსტომოს II-ის ინტერვიუ ბენედიქტე XVI-ის ვიზიტის დამდეგს

თქვენო უნეტარესობავ, რა იმედებს ამყარებთ ბენედიქტე XVI-ის ვიზიტზე?

ეს უნიკალური მოვლენაა ჩვენი კუნძულის ისტორიაში. რომის კათოლიკე ეკლესიის მეთაური პირველად ეწვევა კვიპროსს, ბენედიქტე XVI-თვის კი ეს პირველი ვიზიტია მართლმადიდებელ სახელმწიფოში. ეს ვიზიტი კიდევ უფრო დაახლოვებს ჩვენს ეკლესიებს. გარდა ამისა, პაპი ძალიან კარგად იცნობს კვიპროსს და მის პრობლემებს. ეს ვიზიტი დიდად შეუწყობს ხელს იმას, რომ ჩვენი მდგომარეობა კიდევ უფრო ცხადი გახდეს მთელი ევროპისათვის. დარწმუნებული ვარ, იგი გახდება იმპულსი შერიგებისათვის.

ბოლო დროს ხშირად გაისმოდა ხმები პაპის ვიზიტის წინააღმდეგ. ორმა ეპისკოპოსმა ისიც კი განაცხადა, რომ მისი ნახვა არ სურთ.

კვიპროსის ეკლესია მიიღებს პაპს არა მხოლოდ პატივისცემის გრძნობით, არამედ სიხარულითაც. ვიზიტის მოწინააღმდეგენი უმცირესობას წარმოადგენენ. ისინი უბრალოდ ექსტრემისტები არიან. ასეთები ხომ ყველგან გვხვდებიან. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ წმიდა სინოდის ყველა წევრმა მოაწერა ხელი მორწმუნეთა მიმართ ეპისტოლეს, რომელშიც პაპის ღირსეულად მიღებისკენ მოუწოდებენ. და მხოლოდ ორმა მათგანმა, გარეშე წრეების გავლენით, ბოლო დღეებში პოზიცია შეიცვალა.

მართალია, რომ მათ სინოდიდან განდევნით დაემუქრეთ?

მხოლოდ ის ვუთხარი, რომ თუკი სინოდის გადაწყვეტილებებს ეწინააღმდეგებიან, მათი წევრობა აზრს კარგავს. მეტიც – ეს ეპისკოპოსთა კრების შეურაცხყოფაა.

თქვენო უნეტარესობავ, რამდენიმე თვის წინ თქვენ კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილში ბრძანდებოდით. 1974 წლიდან ეს მართლმადიდებელი ეპისკოპოსის პირველი ვიზიტია თურქების მიერ დაკავებულ ამ ტერიტორიაზე. თუ შეიძლება იმის თქმა, რომ ურთიერთობათა ახალი ფაზა დაიწყო?

მე ვფიქრობ, რომ ასეა. ხანგრძლივი ურთიერთობა მაქვს დერვიშ ეროღლუსთან, კვიპროსელი თურქების წარმომადგენელთან. იგი დამპირდა, რომ მალე წმიდა ანდრიას მონასტერში აღდგენითი სამუშაოები დაიწყება. იმედი მაქვს, რომ ეს პირველი ნაბიჯია კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ჩვენი ტაძრების აღსადგენად. უკვე 36 წელია, რაც ეს ტაძრები მიტოვებულია. ზოგი ნანგრევებად იქცა, ზოგი მეჩეთად გადაკეთდა.

რატომ არ არის პაპის ვიზიტის პროგრამაში გათვალისწინებული კვიპროსელ თურქებთან შეხვედრა?

ბენედიქტე XVI კვიპროსის რესპუბლიკის ხელისუფლების მიერაა მოწვეული. ჩრდილოეთ კვიპროსზე ამ მოწვევას არავითარი ძალა არ გააჩნია. უნდა აღინიშნოს, რომ მუფტიმ გამოთქვა პაპის მონახულების სურვილი, თუმცა, როგორც ჩემთვის ცნობილია, ოფიციალური მოწვევა ჩრდილოეთ მხარეს არ გამოუგზავნია.

შეეხებით თუ არა კუნძულის გაყოფის პრობლემას პაპის ვიზიტისას?

ამის განხილვას ბენედიქტე XVI-თან საუბრისას ვაპირებ. ეს ძალზე მტკივნეული თემაა, ღია ჭრილობაა, რომელსაც მხოლოდ შერიგება მოაშუშებს.

კვიპროსი პაპს მასპინძლობს და ამით მტკიცდება მისი წამყვანი როლი კათოლიკე ეკლესიასა და მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის დიალოგში. თქვენი აზრით, შეუწყობს თუ არა ხელს ეს ვიზიტი რომის ეპისკოპოსისა და მოსკოვის პატრიარქის შეხვედრას?

დარწმუნებული ვარ, რომ ადრე თუ გვიან ეს შეხვედრა შედგება. ჩვენ გადავედით ახალ ათასწლეულში და ეს ერთობით უნდა აღინიშნოს. არავის აქვს უფლება, უკან დაიხიოს ამ ამოცანის წინაშე. ყველაზე რთული პრობლემებიც კი, როგორიცაა კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა თანაცხოვრება უკრაინაში, არ არის გადაუწყვეტელი. უბრალოდ, ორივე მხარემ კეთილი ნება უნდა გამოიჩინოს. დარწმუნებული ვარ, პაპ ბენედიქტე XVI-სა და პატრიარქ კირილეს შეხვედრა აუცილებლად შედგება.

ესაუბრა ლუიჯი ჯენინაცი,
სააგენტო vvenire

წარმატებული დიალოგი კუბის ხელისუფლებასთან

ამა წლის 15 ივნისს წმიდა საყდრის საგარეო საქმეთა უწყების თავმჯდომარე, დომინიკ მამბერტი კუბას ეწვია. 16 ივნისს მთავარეპისკოპოსმა კათოლიკე ეკლესიის მიერ ორგანიზებული X საზოგადოებრივი კვირეული გახსნა. ვიზიტის პროგრამით გათვალისწინებული იყო ასევე მამბერტის ლექცია ჰავანის უნივერსიტეტში, უმთავრესი მიზანი კი კათოლიკე ეკლესიისა და ქვეყნის ხელისუფლების წარმატებით დაწყებული დიალოგის გაგრძელება იყო, რისთვისაც მამბერტი ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდა.



დომინიკ მამბერტი

19 მაისს, კუბის სახელმწიფო და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, რაულ კასტრო ჰავანის მთავარეპისკოპოს ხაიმე ორტეგასა და კუბის ეპისკოპოსთა კონფერენციის თავმჯდომარეს დიონისიო გარსია იბანიესს შეხვდა. შეხვედრას ასევე დაესწრო კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რელიგიის საქმეთა სამმართველოს ხელმძღვანელი კარიდად დიეგო.

ადგილობრივ დამკვირვებელთა აზრით, სწორედ ამ შეხვედრის შედეგი იყო ის, რომ თორმეტი პოლიტპატიმარი მათივე სახლების სიახლოვეს მდებარე ციხეებში იქნა გადაყვანილი. გარდა ამისა, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, საპყრობილედან გათავისუფლებულ იქნა ოპოზიციონერი არიელ სიგლერი.

ევროკავშირის გადაწყვეტილებით, ქვეყნის კათოლიკეების ხელისუფლებასთან დიალოგის სასურველ შედეგთა მოლოდინში, კუბასთან დაკავშირებული ე. წ. ერთობლივი პოზიციის გადახედვა სექტემბრისთვის გადაიდო.“

ერთობლივი პოზიცია“ 1996 წელს შემუშავდა. კუბის ხელისუფლებას არაერთხელ განუცხადებია, რომ ევროპის სახელმწიფოები ურთიერთობებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით განსაზღვრავენ, ამიტომ „ერთობლივი პოზიცია“ ევროკავშირისა და „თავისუფლების კუნძულის“ ურთიერთობების ნორმალიზაციის ძირითად დაბრკოლებას წარმოადგენს.

ჩელესტინო მილიორე: „შიდსის გავრცელება უნდა შეჩერდეს“

მიუხედავად მრავალი დაპირებისა, საერთაშორისო საზოგადოებრიობა სათანადო ყურადღებას არ უთმობს შიდსის პრობლემას, – განაცხადა წმიდა საყდრის მუდმივმა დამკვირვებელმა გაეროში, მთავარეპისკოპოსმა ჩელესტინო მილიორემ, გაეროს გენერალური ასამბლეის 64-ე სესიაზე. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ღარიბ ქვეყნებში ინფიცირებულებს ძალზე მწირი რაოდენობით მიეწოდებათ ანტირეტროვირუსული პრეპარატები, რაც, პირველ რიგში, ბავშვებზე აისახება; დაავადებული ჩვილების დაახლოებით 30% ერთი წლის ასაკამდეც კი ვერ აღწევს; ყოველდღიურად შიდსით 7000 ადამიანზე მეტი ავადდება, უკვე დასნებოვნებულ 10 მილიონს კი არ უტარდება სათანადო ანტირეტროვირუსული თერაპია. მთავარეპისკოპოსმა გაეროს 2001 წლის საგანგებო სესიის მონაწილეებს მოუწოდა, მეტი ძალისხმევა გამოიჩინონ ამ საშინელ სენთან ბრძოლაში.

აივ/შიდსთან ბრძოლის შესახებ დეკლარაციის (მიღებულია 2001 წ. 27 ივნისს, გაეროს გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიაზე) მე-15 მუხლის თანახმად, „აივ/შიდსის მსგავსი პანდემიების პირობებში მედიკამენტების ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი ძირითად ელემენტთაგანია ყოველი ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უფლების დაცვის მაქსიმალური დონის თანმიმდევრული მიღწევისათვის“.

თავის მოხსენებაში გაეროს გენერალურმა მდივანმა, პან გი მუნმა აღნიშნა, რომ „ათასწლეულის დეკლარაციის“ (2000 წ. 8 სექტემბერი) მიზანი ითვალისწინებს აივ/შიდსის პანდემიის ზრდის შეჩერებას 2015 წლისთვის. თუმცა ეს მიზანი ვერ იქნება მიღწეული, თუკი საერთაშორისო საზოგადოებრიობა დაუყოვნებლივ არ გაზრდის თავის ძალისხმევას.

მოამზადა
რუსუდან ავალიშვილმა

ბ ა თ უ მ ი

მოდი, სულო წმიდაო!

23 მაისს რომის კათოლიკე ეკლესია სულთმოფენობის ბრწყინვალე დღესასწაულს აღნიშნავს. ეს დღე ბათუმელი კათოლიკეებისათვის განსაკუთრებულია, რადგან ბათუმის ახალი კათოლიკური ეკლესია სწორედ სულიწმიდის სახელობისაა, და აი, უკვე მეათეჯერ ვიზეიმეთ ამ ტაძარში ეს დღესასწაული. ძველი ფოტოების დათვალიერებისას, თვალწინ იშლება უახლესი ისტორია, რომელიც ბილენიუმის დასასრულს დაიწყო.

საუკუნეების წინ კათოლიკეთა ძალისხმევით აგებული ბათუმის კათოლიკური ეკლესია კომუნისტური რეჟიმის პერიოდში ჯერ დახურეს, შემდეგ კი, როდესაც შესაძლებელი გახდა ეკლესიის ამოქმედება, ის კათოლიკეებს წაართვეს და მართლმადიდებლებს გადასცეს (ეს ისტორია, როგორც დანარჩენი წართმეული ეკლესიებისა, კარგად მოეხსენება "საბას" მკითხველებს). უფლის წყალობით და ბათუმელი კათოლიკეებისა და მოძღვრების დიდი ძალისხმევით, 10 წლის წინ სულიწმიდის სახელზე ეკურთხა ახალი ეკლესია, რომელმაც მორწმუნეებს საშუალება მისცა, 70 წლის შემდეგ დაბრუნებოდნენ საეკლესიო ცხოვრებას და აქტიურად შედგომოდნენ მაცხოვრის გზას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მამა გაბრიელე ბრაგანტინის წვლილი ბათუმის ეკლესიის მშენებლობისა და მორწმუნეების სულიერი ფორმაციის საქმეში, სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ბევრი განდგომილი დაუბრუნდა ეკლესიას, ეზიარა წმ. საიდუმლოებებს. ამ ხნის მანძილზე მრევლიც გაიზარდა და ბათუმის რელიგიურ ცხოვრებაში საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა.

წლევანდელი საიუბილეო წელი განსაკუთრებულია იმითაც, რომ ჩვენი მრევლის ორი წევრი, თენგიზ პარმაქსიზიშვილი და თამაზ მღებრიშვილი აკოლიტებად აკურთხეს და უფლის წმიდა საკურთხეველზე მსახურების უფლება მისცეს.

აპრილის ბოლოს, ეკლესიაში რემონტი ჩატარდა, განახლდა და შეთეთრდა ეკლესიის მთლიანი შენობა.

21, 22 და 23 მაისს ბათუმში დასავლეთ საქართველოს საკრებულოებიდან, კერძოდ, ქუთაისიდან, ახალშენიდან, ოზურგეთიდან, შრომიდან და ქობულეთიდან ჩამოვიდნენ ახალგაზრდები.

23 მაისს, სულთმოფენობის წმ. წირვა 17 საათზე დაიწყო. წირვას უძღვებოდა ამიერკავკასიაში ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო. წირვას ესწრებოდნენ: მ. პიერ დიუმულენი, კამილიელი მამები: მ. ივან მარტინი, მ. პავლე დილი და მ. ზიგმუნდ ნეჯვეჯი; სტიმატინი მამები: მ. გაბრიელე ბრაგანტინი, მ. კარლო დისტეფანო; თბილისიდან გვეწვივნენ კამილიელი მონაზვნები, ქუთაისიდან კი - წმ. იოსების პატარა ქალიშვილები. ეპისკოპოსის ქადაგების თემა იყო: სულიწმიდა და პიროვნული პასუხისმგებლობა ღვთისა და ეკლესიის წინაშე.

წირვის შემდეგ, ეკლესიის სალონში გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ევანგელური ეკლესიის მგალობლები; ხელოვნების განყოფილებასთან არსებული ქალთა გუნდი "ბათუმი" (გასაოცარი ვოკალური მონაცემებით) და ბათუმის ბავშვთა ვოკალურ-ფოლკლორული ანსამბლი "თოლია". მათმა ხელოვნებამ ყველა მოხიბლა.

კონცერტის შემდეგ, ტკბილ სუფრაზე მივიწვიეთ სტუმრები. აქ დიდხანს გაგრძელდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ერთმანეთისათვის საუკეთესო გამოცდილებების გაზიარება.

განშორება ყოველთვის მტკივნეულია, ასე იყო ამჟამადაც, მაგრამ საკუთარი ოჯახები, საკრებულოები და მოვალეობები გვიხმობდა. კეთილი სურვილიებით და მალე შეხვედრის იმედით დავშორდით ერთმანეთს.

მინდა, წერილი დავასრულო დავით მეფსალმუნის სიტყვებით: "მაშინ აღივსება სიცილით პირი ჩვენი და ენა ჩვენი გალობით".

P.S. გასულ თვეს დედაქალაქში ჩატარდა ლათინო-ამერიკული ცეკვების კონკურსი, მასში მონაწილეობდნენ საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინის და ბალტიისპირეთის ქვეყნების საუკეთესო მოცეკვავეები. ბათუმის სახელით, კონკურსში მონაწილეობას იღებდა ბათუმის კათოლიკური ეკლესიის მრევლის წევრი მარიამ მღებრიშვილი , რომელმაც საუკეთესოდ იცეკვა და პირველი ადგილი დაისაკუთრა (პედაგოგი ნინო ქავზინაძე).

ასევე გაგვახარა ჩვენი საკრებულოს ახალგაზრდა წევრმა ზურაბ გვასალიამ, რომელმაც კონფესიათაშორის გამართულ მაგიდის ჩოგბურთში პირველი ადგილი დაიკავა.

ბათუმის კათოლიკური ეკლესიის მრევლი ორივე ჩემპიონს გამარჯვებას ულოცავს და ცხოვრების დიდ გზაზე წარმატებებსა და ნათელ მომავალს უსურვებს.

ბათუ - ანდრია დარჩია

ბათუმის ტაძრის 10 წლისთავი

ისტორიული ექსკურსი

1985 წლიდან საბჭოთა კავშირში ,,პერესტროიკა“ დაიწყო. ეს არა მხოლოდ გორბაჩოვის პროგრესული იდეების, არამედ დასავლეთის, კონკრეტულად კი აშშ-ს ზეწოლის შედეგიც იყო. საბჭოთა ლიდერებმა გადაწყვიტეს, რეფორმები დაეწყოთ. გაღატაკების გზაზე მდგარ იმპერიაში რეფორმის ერთ-ერთი პირველი ტალღა საბჭოთა მოქალაქეების სულიერ მხარესაც შეეხო, ოღონდ, როგორც ხდებოდა ხოლმე, რეფორმა ცენტრიდან იწყებოდა და პერიფერიებში საკმაოდ გვიან და ხარვეზებით ვითარდებოდა.

1985 წლის მაისში თბილისს ეწვია საბჭოთა კავშირის რელიგიათა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ხარჩევი, რომელიც ახალი დანიშნული იყო ამ თანამდებობაზე და მას გორბაჩოვის ,,პერესტროიკის“ კურსი უნდა გაეტარებინა ქვეყანაში. თბილისში ხარჩევი შეხვდა ყველა ოფიციალური ეკლესიის წარმომადგენელს, მათ შორის, თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ეკლესიის წინამძღვარს, მ. იან სნეჟინსკის. სხვათა შორის, მ. იან სნეჟინსკი ერთადერთი იყო მთელ საქართველოში, ვინც გაბედა და ხარჩევს არაკორექტული გამონათქვამის გამო შეეწინააღმდეგა და თითიც კი დაუქნია მას (იხ. ჟურნალ ,,საბა“-ს 2008 წლის ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული მ. იან სნეჟინსკის ინტერვიუ).

სასულიერო პირებთან შეხვედრის შემდგომ, ხარჩევი შეხვდა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს. ამ შეხვედრაზე, საბჭოთა კავშირის მთელი ისტორიის მანძილზე პირველად, ოფიციალურად გაჟღერდა, რომ ,,მიუხედავად მრავალწლიანი იდეოლოგიური ზემოქმედებისა, მორწმუნეთა რაოდენობა არ კლებულობს, რომ მორწმუნეები არიან არა მხოლოდ მოხუცები, არამედ მათი საშუალო ასაკი 50 წელს შეადგენს, ანუ ის თაობა, რომელიც საბჭოთა პერიოდში დაიბადა და გაიზარდა და იყო პიონერი და კომკავშირელი“; ყველაზე მთავარი არსი ხარჩევის მოხსენებიდან იყო ის, რომ ,,საბჭოთა სახელმწიფო აცნობიერებს, რომ მორწმუნეები მისი სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან, და ვინმეს სურს თუ არა, ერთად მოუწევთ მორწმუნეებთან თანაცხოვრება; ამიტომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ უნდა შეზღუდონ მორწმუნეთა კონსტიტუციური უფლებები“. მთავარი იყო, რომ მორწმუნეებს საბჭოთა კონსტიტუციის 75-ე მუხლით მინიჭებული უფლებების დასაცავად ხმა ამოეღოთ და აქტიური ნაბიჯები გადაედგათ. ,,პერესტროიკის“ მესიჯი ის იყო, რომ მოქალაქეებს აქტიურად დაეწყოთ დამყაყებული სტრუქტურის შეცვლა. რა თქმა უნდა, გორბაჩოვს არც სსრკ-ს დანგრევა, და არც სოციალიზმის შეცვლა აზრადაც არ მოსდიოდა, მას ოდნავ ,,გაადამიანურებული“ და ეკონომიკარეფორმირებული საბჭოთა კავშირი სჭირდებოდა, მაგრამ დიადი რღვევები უკვე იწყებოდა და ბოთლიდან ამოპარულ ჯინს უკან ვერავინ ჩააბრუნებდა.

1987 წლიდან საქართველოში იწყებოდა ჩამორთმეული ეკლესიების უკან დაბრუნების მტკივნეული პროცესი, მტკივნეული იმიტომ, რომ მაშინ კონფესიურობაზე და სამართლებრივ მემკვიდრეობაზე არავინ ფიქრობდა, არც კი იყვნენ გარკვეულები კონფესიურობასა და სამართალში. უბრალო მოქალაქეებისათვის კი საერთოდაც უცნობი იყო მათი უფლებები რელიგიურ საკითხებში. არსებობდა კანონმდებლობის კრებული, სადაც დაწვრილებით იყო განმარტებული, თუ როგორ უნდა მომხდარიყო რელიგიური კულტების შესახებ კონსტიტუციური უფლებების განხორციელება, მაგრამ ეს კრებული ისეთი იშვიათობა იყო, რომ ალბათ იურისტთა უმრავლესობას თვალითაც არ ექნებოდა ნანახი. მორწმუნეებს, უბრალოდ, აქტიურობა უნდა გამოეჩინათ და ხელისუფლებისგან მოეთხოვათ საკუთარი კონსტიტუციური უფლებების დაცვა. ასეთი მორწმუნეები კი იმ დროს თითზე ჩამოსათვლელნი იყვნენ: რამდენიმე ბერძნული წარმოშობის მართლმადიდებელი მორწმუნე წალკაში, რამდენიმე მოხეტიალე მოლა თბილისის ახლომდებარე სოფლებში, სხვადასხვა დენომინაციის პროტესტანტული მცირე ჯგუფები და მესხეთ-ჯავახეთში ნახევრად ლეგალურად მოქმედი ქართველ და სომეხ კათოლიკეთა ათზე მეტი საკრებულო. მართლმადიდებელი ბერძნების, მუსლიმებისა და პროტესტანტებისაგან განსხვავებით, კათოლიკეებს მეტი შანსი ჰქონდათ მათი საკრებულოების რეგისტრაციისათვის, პირველი იმიტომ, რომ მათსავე სოფლებში გააჩნდათ საეკლესიო შენობები, რომლებიც არ იყო დანგრეული, ის კი არადა, ძირითადად, კარგად გარემონტებულიც კი იყო უმეტესი ნაწილი, მეორეც, მათ საკრებულოებს არც არასოდეს შეუწყვეტიათ მოქმედება, და ადგილობრივი ხელისუფლებისათვის მათი ხელახალი რეგისტრაცია დიდ მოულოდნელობას არ წარმოადგენდა, თუ, ცხადია, მოქალაქეობრივ გამბედაობას გამოიჩენდნენ. შედარებით რთული იყო ყოფილი ტაძრების მდგომარეობა ქალაქებში. ვინაიდან კათოლიკური ტაძრები არქიტექტურულ მშვენებას წარმოადგენდნენ, ისინი არაპირდაპირი, მაგრამ მაინც რაღაც ფუნქციით გამოიყენებოდა ხელისუფლების მიერ. ამიტომ მათი დაბრუნება შედარებით უფრო რთული იყო. მაგრამ ესეც ადგილობრივი ხელისუფლების ნება იყო, რადგან ყველა ყოფილი საეკლესიო ნაგებობა სახელმწიფოს ბალანსზე იმყოფებოდა.

ტაძრების დაბრუნების თვალსაზრისით, ვითარება იმ დროისათვის იმედის მომცემი იყო და წმ. პეტრე და პავლე მოციქულთა ტაძრის წინამძღვარს, მ. იან სნეჟინსკის ვურჩიე, ორგანიზება გაეწია მორწმუნეებისათვის და შესაბამისი განცხადებით მიემართათ ადგილობრივი ხელისუფლებისათვის. მართლაც, რამდენიმე თვის განმავლობაში ქუთაისის, ბათუმის, გორის, ვალეს, არალის, ხიზაბავრის მორწმუნეები ცდილობდნენ მათი საკრებულოების რეგისტრაციას და ყოფილი სატაძრო ნაგებობების დაბრუნებას. ამ პერიოდში ხელისუფლების წარმომადგენლები დაარწმუნეს, რომ მათ ხელი არ შეეშალათ კანონის აღსრულებისათვის, და მალე ვალეს, არალის, ხიზაბავრის, ივლიტას საკრებულოები რეგისტრაცია-

ში გატარდა და სატაძრო ნაგებობებიც დაუბრუნდათ. სამწუხაროდ, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, ანარქიულ პერიოდში ივლიტას საკრებულოს საქმე ანარქიულად განვითარდა. რაც შეეხება ქუთაისსა და გორს, აქ ადგილობრივმა ხელისუფლებამ სატაძრო ნაგებობები სულ სხვა კონფესიის წარმომადგენლებს გადასცა.

ბათუმის სატაძრო ნაგებობის ბედი ოდნავ განსხვავებული სცენარით განვითარდა. აჭარის ხელისუფლება საბჭოთა პერიოდშიც გარკვეული დამოუკიდებლობით სარგებლობდა და იქ ქრისტიანული ტაძრის რეგისტრაციას სხვა პრობლემებიც უშლიდა ხელს. მაგრამ ხელისუფლებამ, უარის სათქმელად ერთი შეხედვით უცნაური მიზეზი დაასახელა: ბათუმში კათოლიკეთა რაოდენობა ძალიან მცირეა და ისინი ამხელა შენობის რესტავრაციას ვერ შეძლებენო; როდესაც ამ არგუმენტის უაზრობა დავუსაბუთე, მაშინ სხვა, ასე ვთქვათ, პატრიოტული მოტივი წამოაყენეს – ბათუმელი კათოლიკეები ეთნიკურად არაქართველები არიან და მათ ქართველების მიერ აგებული ტაძარი რატომ უნდა გადავცეთო, მით უმეტეს, რომ ქართველი კათოლიკე მღვდელიც არ არისო. შემდგომ რესპუბლიკურ პრესაში საზოგადოებისათვის ცნობილი ადამიანების საპროტესტო წერილიც გამოქვეყნდა, რომლის ავტორები მოითხოვდნენ ბათუმის კათოლიკური ტაძრისათვის რესტავრაციის ჩატარებას, პირვანდელი სახის დაბრუნებას და მისი კანონიერი პატრონისათვის დაბრუნებას, თუ ამის სურვილი ქართველ კათოლიკეებს ექნებოდათ. მერე კარგა ხანს საერთოდ მიჩუმდა ყველაფერი ტაძრის მომავალი ბედის შესახებ და იმ არეულობაში არც არავის შეეძლო კომპეტენტური პასუხი გაეცა კათოლიკე მორწმუნეებისათვის. შემდგომ კი მოულოდნელად, დიდი ზარ-ზეიმით ბათუმის ტაძარი სხვა კონფესიას გადაეცა. თუმცა სატაძრო ნაგებობის დაკარგვას ხელი არ შეუშლია ბათუმის საკრებულოს ჩამოყალიბებისათვის. როგორც 2005 წელს, ვალეს ტაძრის 15 წლისთავის იუბილეზე ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ აღნიშნა, ,,ტაძარი, ეს ქვები კი არ არის, ტაძარი მორწმუნეთა საკრებულოა, სადაც სულიწმიდა სუფევს“. მართლაც, ბათუმის საკრებულო, ეპისკოპოსისა და მ. გაბრიელე ბრაგანტინის თავდაუზოგავი მსახურების წყალობით, აღსდგა, გაფართოვდა და კუთვნილი სატაძრო ნაგებობაც მოითხოვა. ვინაიდან ყოფილი ტაძარი სხვა მრავალრიცხოვანი კონფესიის ხელში იყო გადასული, ხოლო აჭარის ხელისუფლებას არ სურდა, ახალი წინააღმდეგობის საბაბი მიეცა ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოებისათვის, და კიდევ სხვა სუბიექტური თუ ობიექტური გარემოებების გამოც, კათოლიკე მრევლს ბათუმის პორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ერთ-ერთ პრესტიჟულ ადგილზე გამოუყვეს ტერიტორია, სადაც მოკლე ხანში ქართველმა კათოლიკეებმა, თავიანთი სულიერი ძმების მხარდაჭერითა და თანადგომით, შეძლეს ბათუმის ახალი, ღირსშესანიშნავი ძეგლით გამშვენიერება, ზუსტად ისე, როგორც საუკუნის წინ, ზუბალაშვილებისა და სხვა ქართველი კათოლიკეების ძალისხმევით, აიგო ბათუმის მშვენება, კავკასიაში ერთ-ერთი ულამაზესი ქრისტიანული ტაძარი.

რა შეიცვალა იმით, რომ ოციოდე წლის წინ ბათუმელ კათოლიკეებს არ დაუბრუნეს თავიანთი ყოფილი სატაძრო ნაგებობა? ამით ვერ ჩაკლეს კათოლიკე აღმსარებლობა, პირიქით, ბათუმში, შეიძლება ითქვას, კიდევ ერთი კათოლიკური ტაძარი გაჩნდა, და გაჩნდა იმედი იმისა, რომ მომავალში ბათუმელი კათოლიკეები დაიბრუნებენ ყოფილ ტაძარს, რომელიც დღესაც, როცა ის სხვა კონფესიას ეკუთვნის, და საბჭოთა რეჟიმის დროსაც, როცა იქ საცდელი საექსპერიმენტო სადგური იყო განთავსებული, ეს ტაძარი ყოველთვის იდგა, ვით ხელთუქმნელი ძეგლი საქართველოში, როგორც სიმბოლო კათოლიკე ეკლესიისა, და ასე იქნება სამარადისოდ.

ნუგზარ ბარდაველიძე

ბათუმის სულიწმიდის ეკლესიის იუბილე

24 ივნისი ბათუმის სულიწმიდის ეკლესიის საიუბილეო თარიღია. ათი წელი გავიდა ბათუმის ეკლესიის კურთხევიდან და ყველანი მოუთმენლად ველოდით ამ დღის დადგომას. იუბილეს წინ უძღვოდა სარემონტო სამუშაოები, რამაც კიდევ უფრო გაალამაზა ჩვენი ეკლესია.

წმ. იოანე ნათლისმცემლის შობის სადღესასწაულო დღეს, პროგრამით რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო გათვალისწინებული.

მოწვეულმა სტუმრებმა და მრევლმა 14.00 სთ-დან იწყეს მოსვლა. ძალიან გაგვახარა წმიდა საყდრის დესპანის, მთავარეპისკოპოს კლავდიო გუჯეროტისა და ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორის, ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს სტუმრობამ. ჩვენი საპატიო სტუმარი იყო მამა პიო ოდოროკი, რომელსაც მღვდლად კურთხევიდან 50 წელი შეუსრულდა. ჩვენს სიხარულს იზიარებდნენ საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მღვდლები და მონაზვნები. სტუმრებს შორის იყვნენ ბათუმის სომხური სამოციქულო ეკლესიის მღვდელმსახურნი, პროტესტანტული თემის პასტორი და მორწმუნეები; ბათუმის უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი ალიოშა ბაკურაძე; პროფესორები კახაბერ სურგულაძე და მალხაზ სიორიძე, სტუდენტები,

ახალგაზრდები, ტაძრის მშენებლები, არქიტექტორები, ქალაქის საზოგადოების წარმომადგენლები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ია ხუბაშვილი, ავტორი წიგნისა „იეზუიტების ორდენი“.

ზეიმს დამატებით ელფერს სძენდა ქალთა ვოკალურ ანსამბლ „ბათუმის“ (ლოტბარი დავით აბულაძე) მიერ შესრულებული საგალობლები.

15.00 სთ-ზე ყველანი შევიკრიბეთ ეკლესიის საკონფერენციო დარბაზის შესასვლელთან, სვეტის გარშემო. ანსამბლ „ბათუმის“ მიერ შესრულებული „შენ ხარ ვენახი„-ს ფონზე, ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ სვეტს საბურველი ჩამოხსნა და ჩვენს წინ ბათუმის ძველი და ახალი კათოლიკური ეკლესიების სურათები გადაიშალა. მათ შორის, ბოლშევიკების მიერ გასამართლებული და დახვრეტილი მამა გაბრიელ ასლანიშვილის ფოტოები და მისთვის გამოტანილი განაჩენის ასლი.

ღონისძიების დასაწყისში, დამსწრეთ მოკლედ გავაცანი ბათუმში კათოლიკური ეკლესიის ისტორია და მამა გაბრიელ ასლანიშვილის ბიოგრაფია. აღვნიშნე, რომ, ეკლესიის გადაწყვეტილებით, დღეიდან ამ დარბაზს მამა გაბრიელ ასლანიშვილის სახელი ეწოდა.

შემდეგ, პროფესორმა ია ხუბაშვილმა ისაუბრა საკუთარი წიგნის – „იეზუიტების ორდენი“ შესახებ და ძალზე საინტერესოდ მიმოიხილა ორდენის ისტორია. დებატებში მონაწილეობა მიიღეს პროფესორმა კახაბერ სურგულაძემ და წმ. საყდრის დესპანმა, მთავარეპისკოპოსმა კლავდიო გუჯეროტიმ. მან ვრცლად ისაუბრა იეზუიტების ორდენის მისიაზე და მნიშვნელობაზე. კონფერენციის დასასრულს, ნაჩვენები იქნა ოთიკო მღებრიშვილის მიერ მომზადებული ვიდეორგოლი, რომელიც სულიწმიდის ეკლესიის მშენებლობას, კურთხევას და საკრებულოს ცხოვრებას ასახავდა.

17.00 სთ-ზე დაიწყო სადღესასწაულო წმიდა წირვა, რომელსაც უძღვებოდა მთავარეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი. მორწმუნეები დიდი გულისყურით უსმენდნენ მის ვრცელ ქადაგებას. მან კათოლიკე ეკლესია შეადარა საჩვენებელ თითს, რომელიც ადამიანებს უჩვენებს გზას ღვთის სასუფევლისაკენ. აგრეთვე, აღნიშნა მართლმადიდებელი ეკლესიის მნიშვნელობა და განმარტა, რომ თუკი ჩვენ, კათოლიკე ეკლესიის შვილები, საჩვენებელი თითი ვართ, მართლმადიდებლური ეკლესია ოთხი თითია და მის წევრებსაც იგივე მოვალეობა აკისრიათ, რაც ჩვენ; ამიტომ ყველამ ერთად, ნაყოფიერად უნდა ვითანამშრომლოთ ადამიანთა სულების გადასარჩენად და ღვთის სადიდებლად.

წირვის დასასრულს, ბათუმის სულიწმიდის ეკლესიის მრევლის სახელით, მამა პიო ოდოროცის მზია ჩურუგზამ სამახსოვრო საჩუქარი გადასცა.

წირვის ყველა მონაწილეს დაურიგდა ამ დღის აღსანიშნავი ლამაზი ღია ბარათები.

როგორც სულიწმიდის ეკლესიის მშენებლობის, ასევე დღევანდელი დღის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია მამა გაბრიელე ბრაგანტინი. მადლობა ყოველივე ამისათვის მამა გაბრიელეს, მადლობა მთავარეპისკოპოს კლავდიო გუჯეროტის და ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს, ესოდენ მაღალი ყურადღებისთვის; მადლობა ყველა სტუმარს, ვინც ჩვენთან ერთად იზეიმა ეს დღესასწაული.

ვფიქრობ, 2010 წლის 24 ივნისი დიდხანს ემახსოვრებათ და ტკბილი მოსაგონარი იქნება ყველა მონაწილისათვის.

თენგიზ პარმაქსიზიშვილი

წმიდა პეტრე და წმიდა პავლე მოციქულთა დღესასწაული

წმიდა პეტრესა და წმიდა პავლეს თბილისის ტაძარში 140-დ აღინიშნა ეკლესიის მიერ მოციქულთა თავებად შერაცხულ წმიდანთა ხსენების დღე.

29 ივნისი მოციქულთა თავებად წოდებულ წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ხსენების დღეა. ამ დღეს მთავრდება ოთხ მთავარ სამარხვო პერიოდს შორის ერთ-ერთი – პეტრე-პავლობის მარხვა. ეს პერიოდი ასტრონომიული ზაფხულის პერიოდის თანმხლები მარხვაა და შემთხვევითი არაა, რომ ზაფხულის მზებუდობას ემთხვევა. ეს თარიღი კი ყველა რელიგიაში აღინიშნება სხვადასხვა სახის დღესასწაულებით. წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულების როლი ქრისტიანული ეკლესიის დაფუძნებაში შეუფასებელია, ფაქტიურად, ამ ორმა მოციქულმა, რომელთაგანაც ერთი თავდაპირველად უბრალო მეთევზე იყო, მეორე კი ქრისტიანების დევნით გამოირჩეოდა, შექმნა საკრებულო, რომელიც 2000 წლიან ისტორიას მოითვლის, და რომლის წევრებიც მსოფლიო მოსახლეობის ერთ მესამედს შეადგენენ.

წმ. მოციქულთა, პეტრესა და პავლეს ხსენების დღე განსაკუთრებულად აღინიშნება კათოლიკე ეკლესიაში. ვინაიდან სწორედ ამ მოციქულებმა 2000 წლის წინ დააფუძნეს მარადიულ ქალაქში ქრისტიანული საკრებულო. აქ აღესრულა ორივე მოწამეობრივი სიკვდილით, ხოლო წმ. პეტრე მოციქული, რომელიც მაცხოვარმა გამოარჩია მოციქულთა შორის და ჩააბარა მის მიმდევართა მწყემსობა, ითვლება რომის პირველ ეპისკოპოსად, რომის და კათოლიკე ეკლესიის პაპად.

წმ. პეტრე მოციქულის აკლდამაზეა აგებული მსოფლიო ეკლესიის უპირველესი ტაძარი - რომის ბაზილიკა, რომელიც IV საუკუნიდან უკვე ქრისტიანთა წმინდა საყდარს წარმოადგენს. წმ. მოციქულთა ხსენების დღეს, კარგა ხანია, დამკვიდრებულია ტრადიცია, რომ მთელი

მსოფლიოს ქრისტიანული ტაძრებიდან ამ დღესასწაულზე შეკრებილი შესაწირავი გაეგზავნოს რომის პაპს. ამიტომ ამ შენაწირს (კოლექტას) ხალხმა წმიდა პეტრეს ძღვენი უწოდა. წმ. პეტრეს ძღვენის საერთო რაოდენობა დაახლოებით 100 მილიონ დოლარამდე აღწევს. ეს თანხა პაპების მიერ მთელ მსოფლიოში განხორციელებულ საქველმოქმედო საქმეებს ხმარდება.

წმ. პეტრე და წმ პავლე მოციქულთა ტაძრის საკურთხეველი თბილისში 1870 წელს ეკურთხა, მართალია, მთლიანად ტაძრის მშენებლობის დასრულება მოგვიანებით მოხდა, მაგრამ წმიდა მსახურება საკურთხევლის კურთხევის შემდეგ, როგორც წესი, აღესრულება, და ამიტომ წლევანდელი წელი ერთგვარად საიუბილეოა – 140 წელი გვაშორებს იმ თარიღთან, როდესაც თბილისელი კათოლიკეები იმ პერიოდის ყველაზე პრესტიჟულ უბანში, რომელსაც ხალხმა ,,ოქროს უბანი“ შეარქვა, თბილისის მოწინავე ელიტა, კათოლიკეებიც და არაკათოლიკეებიც, ქართველებიც და არაქართველებიც, ქვეყნის მოქალაქეებიცა და უცხოელებიც მოწიწებითა და სიყვარულით ესწრებიან წმ პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ხსენების დღესასწაულს. გავითვალისწინოთ, რომ 1918 წლამდე ეს დღესასწაული ერთი კალენდარული სტილით აღინიშნებოდა და სხვადასხვა აღმსარებლობის ქრისტიანთა შორის ახალი და ძველი სტილის მიმდევრებად დაყოფა ჯერ არ არსებობდა.

წლეულს, ტრადიციისამებრ, თბილისელმა კათოლიკეებმა დილიდანვე წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძარში მოიყარეს თავი. მოვლენებს წინ გავუსწრებ და აღვნიშნავ, რომ ამ დღეს ტაძარში სამი წირვა აღევლინა, ანალოგიურად, სადღესასწაულო მსახურება საქართველოს ყველა კათოლიკურ ტაძარსა და სამლოცველო სახლში შესრულდა. სადღესასწაულო მსახურებას ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო სამღვდელო დასთან ერთად უძღვებოდა. მსახურების დროს, ეპისკოპოსმა მირონცხების საიდუმლო აღასრულა, ასევე, მრავალმა მოზარდმა ეპისკოპოსისგან პირველი ზიარებაც მიიღო. სიტყვის ლიტურგიის დროს, ეპისკოპოსმა ქადაგებითაც მიმართა მრევლს.

მსახურების ბოლოს, მრევლის ახალგაზრდებმა მიულოცეს ეპისკოპოსს, ტაძრის წინამძღვარს მ. ადამს მოციქულთა ხსენების დღესასწაული, მადლობა გადაუხადეს იმ სულიერი ზრუნვისათვის, რასაც იჩენენ ისინი მათი რწმენაში განმტკიცებისათვის და, პატივისცემის ნიშნად, თაიგულები გადასცეს. თავის მხრივ, მ. ადამმა გამორჩეულად მიულოცა წმ. კამილოს ორდენის მღვდელს, მ. პავლეს ეს დღესასწაული, როგორც მისი სახელობის დღე და მადლობა გადაუხადა დახმარებისათვის.

ნუგზარ ბარდაველიძე

პირველი ზიარება ვალეში

დიდ ხუთშაბათს – “ საიდუმლო სერობისას, იმ ღამეს, როცა გაცემულ იქნა, ჩვენმა მაცხოვარმა დააწესა სხეულისა და სისხლის ევქარისტიული მსხვერპლი, რათა საუკუნოდ ეგოს ჯვრის მსხვერპლი, ვიდრე მის მოსვლამდე. მან ეკლესიას – საყვარელ სძალს მიანდო ხსოვნა თავისი სიკვდილისა და აღდგომის შესახებ: ღმრთისმოსაობის საიდუმლო, ერთობის ნიშანი, სიყვარულის კავშირი, სააღდგომო ტრაპეზი, რომელზეც ქრისტეთი ვიკვებებით, გონება ივსება მადლით და გვეძლევა მომავალი დიდების წინდი“ (ვატიკანის II კრების მასალები , თავი II, 47, გვ. 45).

2000 წელზე მეტია, რაც ქრისტიანები ვეზიარებით ქრისტეს ხორცსა და სისხლს. ეს დღე ყველა მორწმუნესათვის დიდი დღესასწაულია.

ევროპის ბევრ ქვეყანაში პირველი ზიარების აღსანიშნავად ოჯახები დღესასწაულს აწყობენ, ეპატიჟებიან ახლობლებს, რომ ყველამ ერთად გაიზიაროს ამ დიდი საეკლესიო საიდუმლოთი გამოწვეული სიხარული. კარგია, რომ ეს ტრადიცია საქართველოშიც დამკვიდრდა.

6 ივნისი განსაკუთრებული და ლამაზი დღე იყო ვალეს საკრებულოში. ოცდათოთხმეტი ბავშვი სიხარულითა და მღელვარებით ელოდა წმ. წირვის დაწყებას. ეკლესიის ეზოში უჩვეულო ფუსფუსი და სამზადისი შეიმჩნეოდა: მამა ზურაბ კაკაჩაშვილი, კატეხისტი თეკლე ხითარიშვილი და მშობლები ერთად ემზადებოდნენ, რომ ბავშვებისთვის განსაკუთრებით ლამაზი და სამახსოვრო ზეიმი მოეწყოთ, რათა პირველი ზიარების დღე მათთვის ყოველთვის ტკბილი მოსაგონარი ყოფილიყო.

ბავშვები ფერად-ფერადი ყვავილების გვირგვინებით იყვნენ მორთულნი და წმ. წირვის დაწყებას მოუთმენლად ელოდნენ. მშობლებმა დალოცეს შვილები და ყველანი გალობით შევიდნენ ეკლესიაში. “ეს არის დღე, ღმერთმა რომ მოგვცა“, – ამ საგალობლის ჰანგები საზეიმოდ აჟღერდა ტაძარში.

ბავშვები ორი წლის მანძილზე ემზადებოდნენ ზიარებისთვის. კატეხისტი თეკლე თავდაუზოგავად შრომობდა და ზრუნავდა თითოეულ ბავშვზე, ცდილობდა, ესწავლებინა მათთვის ყველაფერი, რათა ბავშვებს კარგად შეესრულებინათ მათზე დაკისრებული მოვალეობანი: ზოგი გალობდა, ზოგი ძღვენის მისართმევად ემზადებოდა, ზოგი კი მრევლთან ერთად ლოცულობდა. წირვის დასასრულს, ბავშვებმა მადლობა გადაუხადეს კატეხისტს და მამა ზურაბს გაწეული შრომისათვის; შემდეგ კი ყველამ სამახსოვრო ფოტო გადაიღო. მშობლებმა მშვენიერი, სადღესასწაულო სუფრა მოუმზადეს ბავშვებს, რომელთაც ეს დღე ალბათ ღრმა სიბერემდე ემახსოვრებათ.

თამრიკო ჩიტაშვილ

ხიზაბავრა

ქრისტეს უწმიდესი ხორცისა და სისხლის დღესასწაული

2010 წლის 6 ივნისს, იესოს უწმიდესი ხორცისა და სისხლის დღესასწაული ერთად ვიზეიმეთ ხიზაბავრის მრევლმა. ზეიმს დამატებითი დატვირთვა მისცა იმა-

ნაც, რომ ჩვენი მრევლის ორმა წევრმა პირველი ზიარება მიიღო – ისინი ეზიარენ ევქარისტიაში გარდასახულ ქრისტეს ხორცსა და სისხლს და ამით უფრო დაუახლოვდნენ უფალს. წმ. წირვის დასასრულს, ჩვენი ეკლესიის მოძღვარი, მამა პაატა ქომოშვილი და ახლად ნაზიარები გოგონები დიდი სიხარულით გაუძღვნენ პროცესიას; მთელი სოფელი შემოვიარეთ გაუსაძლის სიცხესა და მტვერში. თეთრ კაბებში გამოწყობილი, მომღიმარი გოგონები ირგვლივ ყვავილების ფურცლებს აბნევდნენ. საკურთხეველი სოფელში ოთხ ადგილას იყო დადგმული. მლოცველთა პროცესიას საკურთხეველთან ხალხი გალობით ეგებებოდა და ღმერთს ადიდებდა.

პროცესია ეკლესიაში დასრულდა. მამა პაატამ დალოცა მრევლი და ყველას ბედნიერი კვირა გვისურვა.

ხიზაბავრის ეკლესიის მრევლი მთელი გულით ვულოცავთ გოგონებს პირველი ზიარების მიღებას.

იესოს ღვთიური გული

მესხეთ-ჯავახეთში არის ერთი ლამაზი სოფელი ხიზაბავრა, სადაც მოსახლეობის 80% კათოლიკეა. სოფელში აღმართულია იესოს ღვთიური გულის სახელობის ულამაზესი ეკლესია. 11 ივნისი – იესოს ღვთიური გულისა და ხიზაბავრის ეკლესიის დღესასწაული – საქართველოს სხვადასხვა რეგიონების კათოლიკეებთან ერთად ვიზეიმეთ. მოწვეული გვყავდა კათოლიკური საკრებულოების მოძღვრები თავიანთ

მრევლთან ერთად, აგრეთვე ბევრი საპატიო სტუმარი, მათ შორის, ბატონ ვანო მერაბიშვილის მშობლები და ხიზაბავრის გამგებელი, ბ-ნი ვახტანგ მურადაშვილი.

ტაძარი, ლამაზი პატარძალივით, ნაირფერი ყვავილებით იყო მორთული. ტაძრის შუაგულში წითელი ვარდებით გული იყო გამოსახული, როგორც სიმბოლო იესოს უწმიდესი გულისა. დღესასწაულის ორგანიზებასა და ზეიმის მომზადებაში მთელი გული და დიდი ენერგია ჩადო ჩვენმა საყვარელმა მოძღვარმა, მამა პაატამ.

წმ. წირვას ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო უძღვებოდა, რომელმაც ყველას დიდი სიყვარულით მოგვილოცა დღესასწაული.

ეს დღე იმითაც იყო გამორჩეული, რომ ჩვენი საკრებულოს ექვსმა წევრმა მირონცხების საიდუმლო მიიღო.

„ჩვენი ცხოვრება, იესოს ცხოვრების მსგავსად, სუფთა და სიყვარულით სავსე უნდა იყოს; უნდა შეგვეძლოს ერთმანეთის პატიება, მიტევება და თანადგომა“, – აღნიშნა ქადაგებაში ეპისკოპოსმა.

წმიდა წირვის დასასრულს, ეპისკოპოსს მადლობა გადავუხადეთ მობრძანებისთვის და დაგვიანებით მივულოცეთ

ეპისკოპოსად კურთხევის 10 და მღვდლობის 32 წლისთავი და ჩვენი მოკრძალებული საჩუქარი გადავეცით.

ჩვენს მოძღვარსაც მივულოცეთ მღვდლად კურთხევის წლისთავი და, დიდი სიყვარულის ნიშნად, ყვავილები და ხატი ვაჩუქეთ. ვალესა და ახალციხის წარმომადგენლებმაც სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს მ. პაატას.

დასასრულს ახალგაზრდებმა, ბავშვებმა და ბაღის აღსაზრდელებმა შესანიშნავი კონცერტი გაუმართეს სტუმარ-მასპინძლებს.

ყველაფერს აქვს თავისი დასასრული. ეს მშვენიერი დღეც ლამაზად დასრულდა, სტუმრებს გზა დავულოცეთ, ბედნიერი მგზავრობა ვუსურვეთ და ღმერთს მადლობა შევწირეთ, რომ ერთად შეგვკრიბა ქართველი კათოლიკეები.

ფიქრია მექოშვილი

მომლოცველობა ხიზაბავრაში

11 ივნისს გორის წმ. ოჯახისა და ახალხიზის წმ. მოციქულ ანდრია პირველწოდებულის სამრევლოებმა სოფელი ხიზაბავრა მოილოცეს.

სოფელი ახალხიზა 1890-იან წლებში, მამა დომინიკე მუღაშაშვილის (დომინიკე პაწაძე) თაოსნობით, ხიზაბავრიდან ჩამოსახლებულმა ოჯახებმა დააფუძნეს.

მამა აკაკი ჭელიძის (მადლობა მას, ასეთი ლამაზი დღე რომ გვაჩუქა!) ინიციატივით, ჩვენი მომლოცველობა დაემთხვა ხიზაბავრის იესოს უწმიდესი გულის ეკლესიის დიდ დღესასწაულს. ახალხიზიდან ხიზაბავრაში წასვლის მსურველთა რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ სამრევლო საბჭოს წევრებს ზოგიერთი მათგანისათვის უარის თქმაც კი მოუწიათ.

გორიდან დილის 7 საათზე გავედით და, დაახლოებით, 12 საათისათვის ხიზაბავრაში ვიყავით. წმ. წირვა ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ აღავლინა.

წმ. წირვის, ტრაპეზისა და ფოლკლორული კონცერტის დასრულების შემდეგ, ახალხიზელმა სტუმრებმა მასპინძლებს შორის ნათესაური ფესვების მოძიება და მოგვარეების გაცნობა დაიწყეს.

სამწუხაროდ, უეცრად წამოსულმა კოკისპირულმა წვიმამ სოფლის საფუძვლიანად დათვალიერებისა და გაცნობის საშუალება არ მოგვცა.

ხიზაბავრიდან, დაახლოებით, 17.00 სთ-ზე გამოვემგზავრეთ, ბორჯომის ხეობაში დავისვენეთ, წავიხემსეთ და ჩვენს მოძღვართან ერთად სამახსოვრო სურათებიც გადავიღეთ.

ვასილ ბალიაშვილი

არალი - უდე

იესოს უწმიდესი ხორცისა და სისხლის დღესასწაული არალსა და უდეში

ხუთშაბათს, 3 ივნისს არალსა და უდეში დიდი ზეიმით აღინიშნა იესოს უწმიდესი ხორცისა და სისხლის დღესასწაული. მაგრამ წელს, სხვა წლებისაგან განსხვავებით, ეს დღესასწაული გამორჩეული და ლამაზი იყო იმ მხრივაც, რომ არალის საკრებულოს ოცდაორმა ბავშვმა და უდეს წმ. გიორგის სამლოცველოს მრევლის შვიდმა ბავშვმა პირველი ზიარება მიიღო. ბავშვებმა კატეხიზაციის სრული კურსი გაიარეს და ეს უდიდესი საიდუმლო სრულიად მომზადებულებმა მიიღეს. მათ

პირველი ზიარება უდეს წმ. გიორგის სამლოცველოში

დიდი მადლიერება გამოთქვეს თავიანთი კატეხისტისა და მამა იეჟი შიმეროვსკის მიმართ, რომლებიც მთელი გულით უძღვებოდნენ ბავშვთა კატეხიზაციას და დაუღალავად იღვწოდნენ, რომ ბავშვებს პირველი ზიარება შეგნებულად და გააზრებულად მიეღოთ.

არალში წმ. წირვა 10 საათზე დაიწყო. წირვის შემდეგ, მომლოცველთა პროცესია უდესაკენ გაემართა; თეთრად მოსილი ბავშვები ვარდის ფურცლებს უფენდნენ მომლოცველებს. 14 საათზე უდეს წმ. გიორგის სამლოცველოში ჩატარდა პირველი ზიარება.

დღესასწაულის მომდევნო დღეებში, მთელი კვირის განმავლობაში, ბავშვები სიხარულით მონაწილეობდნენ წმ. წირვებში და მამა იეჟისაგან საჩუქრებიც მიიღეს: თვის პირველ პარასკევს – ხატები; შაბათს – ღვთისმშობლის მედალიონები; ორშაბათს – კრიალოსნები; სამშაბათს – პირველი ზიარების მოწმობები და ახალი აღთქმა; ოთხშაბათს – სამახსოვრო ფოტოები; ხუთშაბათს – ხატები.

ივნისი იესოს უწმიდესი გულის თვეა. უდესა და არალში ყოველ საღამოს ეწყობა იესოს უწმიდესი გულისადმი მიძღვნილი ლიტანიები; უდეში ყოველდღე ოცამდე ბავშვი იღებს მასში მონაწილეობას, ხოლო არალში – ოცდაათზე მეტი.

არალში შეიქმნა პირველი ზიარების მისაღებად მოსამზადებელ ბავშვთა სავარდის წრე. ოცამდე ბავშვმა აიღო ვალდებულება, რომ ყოველდღე სავარდის ერთი საიდუმლო შეასრულოს.

მარინა აღლემაშვილი

ზეიმი არალში

2010 წლის 19 მარტს, წმ იოსების დღესასწაულზე, არალის წმ. იოსების სახელობის კათოლიკურ ეკლესიაში დიდი ზეიმი გაიმართა. ასეთი ხალხმრავლობა და სტუმრიანობა აღარც კი ახსოვს სოფელს. ეკლესიის შიგნით და ეზოში ხალხის ტევა არ იყო, განსაკუთრებით ჭარბობდნენ მამაკაცები, რაც იშვიათი შემთხვევაა. ბევრიც პირველად იყო ეკლესიაში და ამის შემდეგ, მათ სურვილი გაუჩნდათ, რომ ხშირად დაესწრონ წმ. წირვებს.

უამრავი სტუმარი გვეწვია, როგორც მეზობელი სოფლებიდან, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან. ეს თარიღი დიდხანს დარჩება ყოველი არლელის მეხსიერებაში. არლელებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ერთგულნი არიან კათოლიკე ეკლესიისა.

წმ. იოსები ყველა ჩვენგანის ოჯახის მფარველია. იგი სასოებით იცავდა მარიამსა და იესოს. წმ. იოსები შესთხოვს ღმერთს თქვენი და ჩვენი ოჯახების ბედნიერებას. ამ დღესასწაულის წირვას ამიერკავკასიის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი ჯუზეპე (იოსებ) პაზოტო უძღვებოდა. ეს დღესასწაული ხომ მისი სახელობისაა, და საკრებულოს ახალგაზრდების სახელით, ეპისკოპოსს საჩუქრად გადაეცა პატარა ხალიჩა, მასზე ამოქარგული იოსებისა და იესოს გამოსახულებებით. თავის მხრივ, ეპისკოპოსმა ყველა მამაკაცს ქრისტესა და წმიდა იოსების გამოსახულებიანი მედალიონები უძღვნა.

წირვის დასასრულს, ზეიმმა სუფრაზე გადაინაცვლა, ირგვლივ მხიარული ატმოსფერო სუფევდა, ისმოდა ქართული ხალხური სიმღერები. ეპისკოპოსმა, გულთბილი დახვედრისა და დღესასწაულის ორგანიზებისათვის, მადლობა გადაუხადა სოფლის მოძღვრებს, მამა იეჟი შიმეროვსკისა და მამა მიშა სურმავას, მობრძანებულ სტუმრებსა და სოფლის მოსახლეობას. საგულისხმოა, რომ სამცხე-ჯავახეთში, ძველ კათოლიკურ ეკლესიათა შორის, ერთ-ერთი ჩვენი ეკლესიაა; წელს მისი კურთხევიდან 150 წელი სრულდება.

სიმონ აფრიამაშვილი

მათი ცხოვრების ყველაზე ღირსშესანიშნავი დღე

ახალციხის საკრებულოში, გასულ წელთან შედარებით, საგრძნობლად გაიზარდა ბავშვთა კატეხიზაციის ჯგუფების მსმენელთა რაოდენობა. ჯგუფს ახალგაზრდა კატეხისტი ლია ჩილინგარაშვილი ხელმძღვანელობს და, მოკლე ხანში, ბავშვების დიდი სიყვარული და ნდობაც დაიმსახურა.

პატარებს პირველივე კატეხიზაციაზე განემარტათ ლუკას სახარების ის მუხლები, სადაც იესო ბავშვებზე საუბრობს: „გამოუშვით ბავშვები და ხელს ნუ უშლით ჩემთან მოსასვლელად, ვინაიდან მაგათნაირებისაა ღვთის სასუფეველი. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვინც ისე არ მიიღებს ღვთის სასუფეველს, როგორც ბავშვი, ვერ შევა შიგ“ (ლუკ.18, 16,17).

ამ სულისკვეთებით გამსჭვალულ ბავშვებს, მთელი წლის სათანადო

მომზადების შემდეგ, დაუდგათ ყველაზე სასიხარულო და სანატრელი დღე, დღე იესოსთან შეხვედრისა, პირველი ზიარებისა.

2010 წლის 6 ივნისს ახალციხის საკრებულო საგულდაგულოდ მორთეს ნაირფერი ყვავილებით. ყველას მღელვარება ემჩნეოდა, განსაკუთრებით კი ბავშვები ღელავდნენ. ირგვლივ ყველაფერს საზეიმო ელფერი დაჰკრავდა. მამა ზურაბ კაკაჩაშვილმა აზიარა ბავშვები: გიორგი და კახა კაჭკაჭიშვილები, გიორგი და დავით ჩილინგარაშვილები და მათ სამახსოვრო ხატები გადასცა.

საკრებულოს სახელით, ვულოცავთ ბავშვებს ამ დაუვიწყარ დღეს, ვუსურვებთ სიკეთეს, წინსვლას და უფლის გზით სიარულს.

გვჯერა, რომ ევქარისტიის მეშვეობით ქრისტესთან ზიარება გვეხმარება, შევიყვაროთ არა მარტო ჩვენი მოყვასი, ჩვენი საკრებულოს წევრები, არამედ ყველა, ჩვენი მტრებიც კი.

ვიმედოვნებთ, რომ ბავშვებთან კატეხისტების მუშაობა დადებით შედეგს გამოიღებს და მათ აქ მიღებული ცოდნა მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვებათ.

ელზა ზუბაშვილი

ამაღლების დღესასწაული „ბუზმარეთში“

ვალე-თურქეთის საზღვართან, ნეიტრალურ ტერიტორიაზე არის ,,ბუზმარეთის“ სასწაულმოქმედი, პატარა ეკლესია, რომელიც VI საუკუნეშია აგებული, უფლის ამაღლების სახელზე.

13 მაისს მთელი საქართველო უფლის ამაღლების დღესასწაულს ზეიმობდა. კათოლიკეები და მართლმადიდებლები ერთად აღვნიშნავდით უფლის ზეცად ამაღლებას. ტრადიციისამებრ, ამ დღეს მრავალი მლოცველი, ვალედან, უდედან, არალიდან, ახლომდებარე სომხური კათოლიკური სოფლებიდან და მართლმადიდებლური სოფლებიდან, ფეხით მიდის ეკლესიის მოსალოცად.

წელს ჩემთვის ეს დღე ულამაზესი იყო. ერთმანეთისგან სულ რაღაც 50 მეტრის დაშორებით, კათოლიკური და მართლმადიდებლური ღვთისმსახურება აღევლინებოდა. ირგვლივ ისმოდა ქართული მრავალხმიანი და კათოლიკური გალობის ჰანგები, რომლებიც ერთმანეთს ერწყმოდა და ზეცაში ანგელოზთა ხმას უერთდებოდა. ყველანი ერთხმად განვადიდებდით ცად ამაღლებულ უფალს; ყველას, განურჩევლად აღმსარებლობისა, სახეზე კმაყოფილება და სიხარული აღბეჭდვოდა; როგორც ქრისტიანებს შეჰფერით, ყველანი ერთმანეთს დიდი სიყვარულითა და სითბოთი ვულოცავდით ამ ლამაზ დღეს.

ამაღელვებელი იყო მამა მიშა სურმავას ქადაგება, სადაც იგი სიყვარულისკენ, პატიებისკენ, მოთმინებისკენ და ერთად დგომისაკენ მოგვიწოდებდა: „ნამდვილი ქრისტიანობა ისაა, როცა შეგვიძლია მოთმენა, ადამიანთა სიყვარული, სხვათა შენდობა, ისევე როგორც ქრისტემ შეგვინდო ჩვენ“.

წმ. წირვის დასრულების შემდეგ, მართლმადიდებელმა მღვდელმა მამა მიშას ხელის ჩამორთმევით მიულოცა დღესასწაული.

ეს დღე არასოდეს დამავიწყდება. ამ დღეს დავინახე, რომ საქართველოში, ისევე როგორც სხვა მრავალ ქვეყანაში, შესაძლებელია, კათოლიკეებმა და მართლმადიდებლებმა ერთად ილოცონ და იდღესასწაულონ.

ღმერთს ვთხოვ, კიდევ ბევრი ასეთი ლამაზი დღე გვაჩუქოს.

თამრიკო ჩიტაშვილი

ვალე

მოწოდებულთა შეხვედრა ორპირში

2010 წლის 10-13 ივნისს, ორპირში შედგა მოწოდებულთა (ვაჟები) მორიგი შეკრება. აქ თავი მოიყარეს ვაჟებმა თბილისის, ვალეს, არალის, ოზურგეთის, ბათუმისა და აბასთუმნის საკრებულოებიდან. ამ შეხვედრის მთავარი მიზანი იყო ახალგაზრდების დახმარება მოწოდების პოვნაში (განსაკუთრებით მღვდლობისათვის მოწოდების).

შეხვედრას სასულიერო სემინარიის რექტორი, მამა პიერ დიუმულენი უძღვებოდა. შეხვედრის თემა იყო წმ. პეტრე მოციქულის მოწოდება და მისი ცხოვრებისეული პასუხი ამ მოხმობაზე. მამა პიერი შეეცადა, წმ. პეტრეს მაგალითის ჩვენებით, დახმარებოდა ახალგაზრდებს მოწოდების პოვნაში.

ამ სამი დღის განმავლობაში ახალგაზრდებმა ბევრი ახალი და მნიშვნელოვანი რამ შეიტყვეს წმ. პეტრეს ცხოვრების შესახებ. ასევე, ნაჩვენები იქნა ფილმი ნეაპოლში მცხოვრები გამოჩენილი ექიმის, წმ. ჯუზეპე მოსკატის შესახებ. იგი ძალიან ჭკვიანი, განათლებული პიროვნება იყო და, მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე, უფასოდ ემსახურებოდა ავადმყოფებს. ფილმმა ენთუზიაზმით აღავსო ახალგაზრდები და სერიოზულად დააფიქრა მღვდლობაზე. მსგავსი შეხვედრები მათ მოწოდების პოვნასა და სულიერ ზრდაში დაეხმარება.

უფალო იესო ქრისტე, მოუწოდე საქართველოს ამ მიწიდან მრავალ ახალგაზრდას მღვდლობის მსახურებისა და ბერ-მონაზვნური ცხოვრებისაკენ; უწილადე მათ შენი წყურვილი სიყვარულისა.

კოტე აკოფაშვილი

თორმეტი შეკითხვა იესოს შესახებ

1. იესო იყო ღმერთი თუ ადამიანი?

იესო ქრისტეს ღმრთაებრიობისა და ადამიანობის საკითხი ქრისტიანობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. იუდეველები და მუსლიმები არ უარყოფენ მის ადამიანურობას, მაგრამ მხოლოდ ქრისტიანები აღიარებენ მის ღმრთაებრიობას. თუ იგი მხოლოდ ადამიანი იყო, მაშინ როგორღა ახდენდა სასწაულებს ან, სამი დღის სიკვდილის შემდეგ, როგორ აღდგა საფლავიდან? თუ იგი მხოლოდ ღმერთი იყო, მაშინ რატომ იტანჯებოდა და რატომ მოკვდა, როცა ღმრთაებრიობა უკვდავია და არავითარ ტკივილს არ განიცდის?

კათოლიკე ქრისტიანებს, ისევე როგორც მართლმადიდებლებსა და პროტესტანტებს, მტკიცედ სწამთ, რომ იესო ქრისტე არის ჭეშმარიტი ღმერთი და ჭეშმარიტი კაცი, როგორც აცხადებს ნიკეის 325 წლის კრების მრწამსი. მაგრამ ეკლესია არავითარ შემთხვევაში არ ამბობს, რომ იესო იყო ნახევრად ადამიანი და ნახევრად ღმერთი. იგი არ ყოფილა ადამიანისა და ღმერთის სანახევრო ნაჯვარი. მიუხედავად იმისა, რომ იესოს დედა მთლიანად ადამიანური არსება იყო, იესოს არ ჰყოლია ბიოლოგიური, ადამიანური მამა და მხოლოდ სული წმიდის ძალამ ჩასახა იგი დედის წიაღში (ლუკა 1:35). მისი ჩასახვიდან ცხრა თვის შემდეგ იესო დაიბადა და „ყრმა იზრდებოდა, მტკიცდებოდა სულით და ივსებოდა სიბრძნით“ (ლუკა 2:40).

ეკლესიას სწამს, რომ თავის ადამიანურ ბუნებაში იესოს ჰქონდა სრული ადამიანური სხეული ყველა ხუთივე შეგრძნებით. მას შიოდა და იგი ჭამდა, მას ეძინა და ტკიოდა, იგი იცინოდა და ტიროდა, მას შეეძლო მომკვდარიყო, ყველა ადამიანის მსგავსად. იესო არ ყოფილა რომელიმე ფანტასტიკური ფილმის ზეკაცი და იგი არ ყოფილა არც უცხოპლანეტელი, რომელსაც განსაკუთრებული, გამორჩეული, ზებუნებრივი სხეული აქვს. მის ადამიანურ ბუნებას ჰქონდა არა მარტო ადამიანური სხეული, არამედ ადამიანური სულიც, რომელიც განაგებს ადამიანურ ინტელექტსა და ადამიანურ ნებას.

დოკეტიზმი ადრეული ეკლესიის ერეტიკული (მწვალებლური) მიმდინარეობაა, რომელიც უარყოფდა ქრისტეს ადამიანურობას და ადამიანურ ბუნებას. მის წარმომადგენელთა თვალსაზრისით, იესო მხოლოდ მოსაჩვენებლად იყო ადამიანი: ნამდვილი მისი ღმრთაებრიობაა, ხოლო

ღირსეული მღვდელმსახური

ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რას ნიშნავს ცნებები: კარგი მოძღვარი, სულიერი მამა, მწყემსი, რომელიც კარგად იცნობს თავის სამწყსოს და სხვ. საქართველო განგებამ ასეთი მოძღვრებით უხვად დააჯილდოვა – მოგვივლინა საოცრად განსწავლული, გულისხმიერი და ყველაფრის ამტანი მღვდლები. ბევრჯერ მიფიქრია, საქართველოს კათოლიკეებს ძალიან გაუმართლათ, რომ გამორჩეული მღვდლები გვყავს-მეთქი. ეს ტრადიცია სათავეს შუა საუკუნეებიდან იღებს. უამრავი კარგი მაგალითი შეგვიძლია გავიხსენოთ საქართველოში კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობის შესახებ, რომელთაც უდიდესი წვლილი შეიტანეს ქართველ კათოლიკეთა სულიერ აღზრდაში და, ასევე, საქართველოს სულიერ და კულტურულ ცხოვრებაშიც.

ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულების თბილისის კათოლიკური ეკლესიის მრევლი დიდი პატივისცემითა და სიამაყით იგონებს აწ გარდაცვლილ, აქ მოღვაწე მღვდლებს, ემანუილ ვარდიძესა და კონსტანტინე საფარიშვილს, რომლებიც ხშირად საკუთარ სიცოცხლესაც საფრთხეში იგდებდნენ მოყვასის სიყვარულის გამო...

ვერ ვივიწყებთ ბოლო წლებში აქ მოღვაწე მამა იან სნეჟინსკის, რომელმაც კოლოსალური შრომა გასწია ტაძრის მრევლის გაზრდისა და შენარჩუნებისათვის, მათი კეთილდღეობისათვის.

წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულების თბილისის კათოლიკური ტაძარი ერთ-ერთი უძველესია. მისი მრევლი მრავალენოვანი და მრავალეროვანია. აქ ხშირად აღინიშნება ხალხმრავალი დღესასწაულები, ასევე ხშირად იკრიბებიან აქ საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მღვდლები. მორწმუნეები განსაკუთრებით კმაყოფილნი არიან სააღდგომო მარხვის დროს მონანიების ლიტურგიაზე მათგან მიღებული რჩევებითა და დარიგებებით.

ეკლესიას მღვდელმსახურიც ღირსეული ჰყავს – მამა ადამ ოხალი. ხალხმა მას სიყვარულით ზედმეტი სახელიც კი შეარქვა – „ადამ მშენებელი“. ეკლესიამ ელფერი იცვალა, ყველაფერს მისი მზრუნველი ხელი ეტყობა. იგი ბავშვობიდანვე ეხმარებოდა მამას სადურგლო საქმეებში და ზედმიწევნით შეისწავლა ეს ხელობა. მ. ადამი უსაქმოდ არავის უნახავს, თავისუფალ დროს ფიზიკურ შრომას უთმობს. სერიოზული ოპერაციის გადატანის შემდეგაც კი, სოფ. სანავარდოში, წმ. წირვის დაწყებამდე, სამლოცველო სახლის მშენებლობაზე მუშაობდა.

მამა ადამი მრავალი მორწმუნის სულიერი მოძღვარია, ამიტომაც მოუთმენლად ელიან შვებულებიდან მის დაბრუნებას.

21 ივლისს მამა ადამის დაბადების დღეა. წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულების თბილისის კათოლიკური ეკლესიის მრევლის სახელით, წინასწარ ვულოცავთ ჩვენს მოძღვარს ამ დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და ღმრთის სიყვარულს.

ნადია ჩიტაძე

საბა
№ 6
ივნისი
2010
საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

„საბას“ ივნისის ნომრის განხილვა უდეს საკრებულოში

უდეს საკრებულოს წევრები შეიკრიბნენ და განიხილეს „საბას“ ბოლო ნომერი. მათ თავიანთი მოსაზრებები და წინადადებები გაუზიარეს ერთმანეთს. საკრებულოში განსაკუთრებით ბავშვები და მოზარდები ჭარბობენ და შეხვედრაზეც სწორედ ისინი აქტიურობდნენ. ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ გასული ნომრის სტატიებიდან განსაკუთრებით მოეწონათ რედაქციის გვერდი, რომელშიც მამა გაბრიელე ბრაგანტინი რომის პაპის, ბენედიქტე XVI-ისა და საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრაზე წერს. მამა გაბრიელე აქვე განმარტავს, თუ რატომ აკისრია რომის პაპს სახელმწიფოს მეთაურის როლი. საინტერესო იყო იმის მკაფიო განმარტებაც, თუ როგორი დემოკრატიული პრინციპებით ირჩევენ პაპს და რამდენ ქვეყანასთან აქვს დიპლომატიური კავშირები ვატიკანს.

ასევე, განხილვის საგანი გახდა თენგიზ პარმაქსიზიშვილის სტატია „როცა ბავშვების უფლებები ირღვევა“. დისკუსიაში განსაკუთრებით ბავშვები აქტიურობდნენ; გაირკვა, რომ მათაც ხშირად აქვთ ანალოგიური პრობლემები; პრეტენზიები, ძირითადად, რელიგიის მასწავლებლების მიმართ გამოითქვა.

ბავშვებმა სურვილი გამოთქვეს, რომ უფრო ხშირად დაიბეჭდოს თავად ბავშვების მიერ მომზადებული სტატიები, სამწუხაროა, რომ ჟურნალში ამ ბოლო დროს იშვიათად ჩნდება ბავშვთა გვერდი, – დასძინეს მათ.

მკითხველებს, ასევე, მოსწონთ სხვადასხვა საკრებულოების ცხოვრების ამსახველი სტატიები.

უნდა აღინიშნოს, რომ „საბას“ კითხულობენ არა მარტო კათოლიკეები, არამედ არაკათოლიკე მორწმუნეებიც და, იმედია, რომ ამ ნომრითაც ძალიან დაინტერესდებიან.

მარინა აღლემაშვილი

მისი ადამიანურობა მხოლოდ მოჩვენებითი იყო. არიანელობა იმავე ხანის კიდევ ერთი ერეტიკული (მწვალებლური) მიმდინარეობაა, რომლის სახელი მისი დამფუძნებლის, არიოზისაგან, წარმოდგება და რომელიც უარყოფდა იესოს ღმრთაებრიობასა და ღმრთაებრივ ბუნებას. ამ მიმდინარეობის წარმომადგენელთა თვალსაზრისით, იესო იყო ღმრთის „აყვანილი“, „ნაშვილები“ შვილი, მას მხოლოდ მამა ღმერთის მსგავსი არსი ჰქონდა და არა იგივე არსი.

ნიკეის კრებამ (325) დაგმო არიანელობა და საზემოდ გამოაცხადა, რომ ქრისტე, ვითარცა ძე ღმერთი, იყო მამა ღმერთის თანაარსი მის ღმრთაებრივ ბუნებაში. ცნება, რომელიც კრებამ გამოიყენა, იყო ბერძნული სიტყვა ჰომოუსიუს (იგივე არსისა, „თანაარსი“) და არა ჰომოიუსიუს (მსგავსი არსისა). ეს თანაარსობა გვიხსნის, როგორ ახდენდა იესო სასწაულებს თავისი ღმრთაებრივი ბუნებით და როგორ შეეძლო მას ეტანჯა და მომკვდარიყო ჩვენი ცოდვებისათვის თავისი ადამიანური ბუნებით.

იესოს ჰქონდა ადამიანური გრძნობები, ისევე როგორც მას ჰქონდა ადამიანური გენები, ქრომოსომები, ხორცი და სისხლი, ჰორმონები, სხეულის ორგანოები და ა. შ. მხოლოდ თავისი ღმრთაებრივი ბუნებით შეეძლო გამოეყენებინა ღმრთაებრივი ძალა წყალზე სიარულისას, წყლის ღვინოდ ქცევისას, ბრმათათვის მხედველობის მინიჭებისას, სნეულთა თუ ყრუთა-მუნჯთა განკურნებისას, ეშმაკთა განდევნისას, მკვდართა აღდგინებისას.

მას შემდეგ, რაც ადამმა და ევამ ჩაიდინეს პირველი ცოდვა, ადამიანური ბუნება დაზიანდა, მაგრამ არ განადგურებულა. ის, რაც დაზიანებულია, შესაძლებელია მისი განკურნება და გადარჩენა, ხოლო ის, რაც უკვე გახრწნილი და მკვდარია, მისი განახლება აღარ ხერხდება. ადამიანური ბუნება თავად უძლური იყო, გამოესყიდა საკუთარი ცოდვა, რადგან დანაშაული ღმერთის წინააღმდეგ აიწონა იმის სიდიადით, ვის მიმართაც იყო ჩადენილი ეს დანაშაული. მხოლოდ ღმრთაებრივს ძალუძს იხნას და გამოისყიდოს კაცობრიობა, მაგრამ მხოლოდ ადამიანურს შეუძლია იტანჯოს, მოკვდეს და მსხვერპლი გაიღოს. ღმერთკაცი, – ¬იგი, ვინც ნამდვილი ღმერთი და ნამდვილი ადამიანია, – ერთადერთია, ვისაც შეუძლია მსხვერპლიც შესწიროს და თავადაც იყოს მსხვერპლი.

მასალა მოამზადა
მერაბ ღაღანიძემ

გაგრძელება. დასაწყისი იხ. «საბა» 2008წ. №11—2010წ. №1.3

58. *ადამიანური პიროვნების სრული რეალიზება, მიღწეული ქრისტეში სულის ნიჭის წყალობით, მწიფდება ისტორიაში პიროვნების სხვა პიროვნებებთან ურთიერთობის საშუალებით: ეს ის ურთიერთობანია, რომლებიც, თავისი მხრივ, აღწევს სრულყოფას იმ ძალისხმევის წყალობით, რაც სამართლიანობასა და მშვიდობაში მსოფლიოს გაუმჯობესებას ხმარდება.* ადამიანის მოქმედება ისტორიაში თავისთავად უკვე მნიშვნელოვანი და ეფექტურია სასუფევლის საბოლოოდ დასამკვიდრებლად, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ის რჩება ღმრთის სრულებით ტრანსცენდენტულ ნიჭად. ამგვარი ქმედება, რამდენადაც ის პატივს მიაგებს ამქვეყნიური სინამდვილის ობიექტურ წესრიგს და ნათელფენილია ჭეშმარიტებითა და სიყვარულით, იქცევა იარაღად სამართლიანობისა და მშვიდობის სულ უფრო სავსე და სრული განხორციელებისათვის და წინასწარ მოასწავებს დაპირებულ სასუფეველს.

ქრისტე მაცხოვრისადმი მიბაძვით ადამიანი აღიქვამს საკუთარ თავს როგორც ქმნილებას, რომელიც ღმერთმა ისურვა და მარადისობიდანვე აირჩია, მოუხმო მადლისა და დიდებისაკენ, საიდუმლოს მთელ სისავსეში, რომლის მონაწილეც გახდა იესო ქრისტეში.[69] ქრისტესადმი დამსგავსება და მისი სახის ჭვრეტა[70] აღავსებს ქრისტიანს დაუცხრომელი სწრაფვით, ამქვეყნადვე წინასწარ უსწროს — ადამიანთაშორის ურთიერთობათა სფეროში — ის, რაც სინამდვილედ იქცევა საბოლოო სამყაროში, რის გამოც იგი ზრუნავს, საზრდო მიაწოდოს, დაარწყულოს, შემოსოს, თავშესაფარი მისცეს, მოუაროს, მიიღოს და უმეგობროს უფალს, რომელიც აკაკუნებს კარზე (შდრ. მათ. 25, 35-37).

დ) მარიამი და მისი თანხმობა ღმრთის სიყვარულის ჩანაფიქრზე

59. *ისრაელის მართალთა სასოების მემკვიდრე და იესო ქრისტეს პირველი მოწაფე მარიამია, დედამისი.* მან თავისი თანხმობით ღმრთის სიყვარულის ჩანაფიქრზე (შდრ. *ლუკ.* 1, 38), მთელი კაცობრიობის სახელით ისტორიაში მიიღო მამისაგან მოვლინებული კაცთა მაცხოვარი: თავის საგალობელში — *Magnificat* — იგი აუწყებს ხსნის საიდუმლოს მოსვლას, «ღატაკთა მესიის» მოსვლას (შდრ. *ეს.* 11, 4; 61, 1). აღთქმის (კავშირის) ღმერთი, რომელსაც სულის აღფრთოვანებით უგალობს ნაზარეველი ქალწული, ის ღმერთია, რომელიც ამხობს ძლიერთ მათი ტახტებიდან და აღამაღლებს მდაბალთ, სიკეთით აღავსებს მშიერთ და მდიდრებს ხელცარიელთ განუტევებს, გაფანტავს ამპარტავნებს და გულმოწყალებას უნახავს თავის მოშიშთ (შდრ. *ლუკ.* 1, 50-53).

მარიამის გულიდან, მისი საგალობლის სიტყვებში გამოხატული მისი რწმენის სიღრმიდან მიმღებელნი ქრისტეს მოწაფენი მოხმობილნი არიან სულ უფრო სრულად განაახლონ საკუთარ თავში «შეგნება იმისა, რომ *შეუძლებელია განაცალკევო ჭეშმარიტება მხსნელ ღმერთზე, ყოველი მადლის მომნიჭებელ ღმერთზე მისი განსაკუთრებული სიყვარულის გამოვლინებისაგან უპოვართა და თავმდაბალთა მიმართ,* რომელიც მარიამის საგალობლის შემდეგ, სიტყვითა და საქმით გამოხატა იესომ».[71] ღმერთზე მთლიანად დამოკიდებული და თავისი რწმენის აღტყინებით მთლიანად მისკენ მიმართული მარიამი არის «ყველაზე სრულყოფილი ხატი კაცობრიობისა და სამყაროს თავისუფლებისა და განთავისუფლებისა».[72]

თავი მეორე
ეკლესიის მისია და სოციალური მოძღვრება

I. ევანგელიზაცია და სოციალური მოძღვრება

ა) ეკლესია — ადამიანებთან ღმრთის სამყოფელი

60. *ეკლესია, ადამიანთა სიხარულისა და იმედების, შიშისა და მწუხარების მოზიარე, სოლიდარულია ყოველი მამაკაცისა და ყოველი ქალის მიმართ,* ყოველ ადგილას და ყოველ დროში, და მოაქვს მათთვის სასიხარულო ამბავი ღმრთის სამეფოსი, რომელიც იესო ქრისტესთან ერთად მოვიდა და მოდის მათ შორის.[73] იგია კაცობრიობასა და მსოფლიოში ღმრთის სიყვარულის და, ამიტომაც, ყველაზე დიდი იმედის საიდუმლო, რომელიც შთააგონებს და ამხნევებს ყოველ ჩანაფიქრსა და წამოწყებას ადამიანის ნამდვილი განთავისუფლებისა და განვითარებისათვის. ეკლესია არის ადამიანთა შორის ღმრთის გვერდითყოფნის კარავი — «ადამიანებთან ღმრთის სამყოფელი» (*გამოცხ.* 21, 3) — ასე რომ, ადამიანი არაა მარტო, გზააბნეული ან დამფრთხალი მსოფლიოს გაადამიანურების მისეულ სწრაფვაში, არამედ იგი პოვებს შემწეობას ქრისტეს გამომსყიდველ სიყვარულში. ეკლესია ხსნის მსახურია არა აბსტრაქტულად ან ოდენ სულიერი გაგებით, არამედ ისტორიულ და იმ სამყაროსეულ კონტექსტში, რომელშიც ცხოვრობს ადამიანი,[74] სადაც მას მისწვდა ღმრთის სიყვარული და მოწოდება, შეესაბამოს ღმრთაებრივ ჩანაფიქრს.

69 შდრ. იოანე პალე II, ენციკლ. *Redemptor hominis*, 13: AAS 71 (1979) 283-284.

70 შდრ. იოანე პალე II, სამოც. ეპ. *Novo millennio ineunte*, 16-28: AAS 93 (2001) 276-285.

71 იოანე პალე II, ენციკლ. *Redemptoris Mater*, 37: AAS 79 (1987) 410.

72 რწმენის მოძღვრების კონგრეგაცია, ინსტრ. *Libertatis conscientia*, 97: AAS 79 (1987) 597.

73 შდრ. ვატიკანის II კრება, სამწყ. კონსტ. *Gaudium et spes*, 1: AAS 58 (1966) 1025-1026.

74 შდრ. ვატიკანის II კრება, სამწყ. კონსტ. *Gaudium et spes*, 40: AAS 58 (1966) 1057-1059; იოანე პავლე II, ენც. *Centesimus annus*, 53-54: AAS 83 (1991) 859-860; Id., ენც. *Sollicitudo rei socialis*, 1: AAS 80 (1988) 513-514.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

საარქივო მასალები

თეიმურაზ მეფემ აუკრძალა კათოლიკეებს, რომ დღეის შემდეგ ქართველების და სომხების ეკლესიებში იარეთ, ვინც ამას არ შეასრულებს, მე იმას დავსჯიო.

მალე პატრების სახლ-კარს დაეცნენ, წაართვეს ფული, ნივთები, წიგნები, შეკრეს თოკებით და გაიყვანეს საბურთალომდე, იქიდან ახალციხეში გარეკეს და თან ყარაულები გააყოლეს. შეურაცხყოფილი მოძღვარნი მალე მივიდნენ ახალციხეში და იქ დამკვიდრდნენ. პატრების განდევნის შემდეგ ქართველნი და სომეხნი მიუვარდნენ თბილისში მცხოვრებ კათოლიკე ვაჭრებს და მთლად აიკლეს, ჯერ სახლები დაუქციეს, შემდეგ მათი სავაჭროებიდან აღარაფერი დატოვეს.

კათოლიკეებს მუქარით დააგმობინეს რომი, შემდეგ შემოუშვეს თბილისში და ზოგი სომხის ეკლესიებს ჩააბარეს და ზოგი მართლმადიდებლისას. ამ დროს ასზე მეტი ოჯახი ქართველი კათოლიკეებისა იქმნენ გრიგორიანობაზე მიქცეულნი და მართლმადიდებლობაზე ხუთი თუ ექვსი ოჯახი. კათოლიკეების ეკლესიის შენობა ქართველებმა დაიჩემეს და მალე სომხებს მიჰყიდეს. დროთა განმავლობაში საქმე მიწყნარდა, კათოლიკეების მოძრაობა დაბნელდა, მალე ანტონ კათალიკოსიც გაანთავისუფლეს. ამან 1755 წელს სიონში სწირა და ბარძიმ ხელში პყრობილმა პატიება სთხოვა თეიმურაზ მეფეს. აღიარა, რომ: „ჩემში ფლორენციის აღარაფერია დარჩენილი, მაპატიეთო“. მეფემ შეისმინა კათალიკოსის ვედრება და კათალიკოსს ნება მისცეს მხოლოდ უცხო სახელმწიფოში განსვლა და არა საქართველოში ყოფნა. საბინადროდ საბერძნეთი და რუსეთი დაუსახელეს. კათალიკოსმა რუსეთი აირჩია, რადგან საბერძნეთი შორს იყო. ამ საქმის გამო კონსტანტინოპოლის და ანტიოქიის პატრიარქებმა თეიმურაზ მეფეს ანტონ კათალიკოსზე მრისხანება და შეჩვენებაც გამოუგზავნეს, რომ იგი მართლმადიდებელ ეკლესიისაგან დრკება და რომს ეკედლებაო, თქვენ ეცადეთ ამის ნება არ მისცეთო. ამიტომ კათალიკოსს იქ წასვლა გაუძნელდა, ამან გაბედა რუსეთში წასვლა და ელიზავეტა პეტროვნას წინაშე წარდგომა, თავის გამართლება. კათალიკოსს ამ საქმეში დიდად ეხმარებოდა ერთი ვიღაც რუსის მოგზაური ოფიცერი, რომელიც რუსეთიდან ამ საქმის გამო იყო მოსული, რათა თვალყური ედევნებინა საქართველოს და ანტონ კათალიკოსის საქმეებისათვის, რომ მართლა საქართველოს კათალიკოსი ხომ არ აპირებს ქართველთა გაკათოლიკებასო.

ანტონ კათალიკოსმა რუსეთში გადაწყვიტა წასვლა, წასვლისას მას ნება მისცეს, რომ მცხეთის ეკლესიაში ეწირა და გორის ეკლესიაში მხოლოდ. მალე გაემგზავრა რუსეთში, თან წაიყვანა ყველა ის ახალგაზრდა მოსწავლე ქართველი საბერო ყმაწვილები, რომლებიც მასთან სწავლობდნენ და რომლებიც მისი პატივისმცემლები იყვნენ.

მცხეთაში მისულმა კათალიკოსმა სწირა მცხეთის ეკლესიაში, აღიარა, რომ ჩემში ფლორენციის აღარაფერია დარჩენილიო, ამ საქმეში კათოლიკე პატრები და კათოლიკეები არ არიან დამნაშავენი, მათ ნურას ერჩითო. მცხეთიდან გაემგზავრა გორს. გორში მისულმა კათალიკოსმა რიგიანი ბინა ვერ იშოვა, გაციების ეშინოდა, ამიტომ მან გორის კათოლიკური ეკლესიის პატრებს მიმართა და მათთან ისადგურა. ქართველებმა ლაპარაკი ასტეხეს, რომ ანტონ კათალიკოსი ცხადად კათოლიკეაო, აბა კათოლიკის პატრებთან რად ჩამოხტაო. დიდი ალიაქოთი ატყდა, მეფეს წერილი მისწერეს. მეორე დღეს ანტონ კათალიკოსმა სწირა გორის ეკლესიაში და აღიარა, რომ მე კათოლიკობის არაფერი მწამსო. მრევლი დაარწმუნა, დაამშვიდა. მესამე დღეს რუსეთში გაემგზავრა თავისი თანმხლებებით.

ანტონ კათალიკოსის განდევნის შემდეგ საქართველოში მისწყდა მოძრაობა კათოლიკობისა. ანტონის მტრები ნეტარებას მიეცნენ და კათოლიკეების დევნა მაინც არ შეაჩერეს. მცირე ხნის შემდეგ თბილისში გაჩნდა ხალხის მუსვრელი რაღაც სენი, რომელიც ხალხს შეუწყალოდ ჟლეტავდა. ამ სენმა დიდად დააფიქრა მეფე ერეკლე. ხალხი იხოცებოდა, მკვდრები ქუჩებში ეყარნენ და ხსნა არსაიდან არ ჩანდა. ამ დროს ქართველთ გაახსენდათ პატრები, მათი ღვაწლი, ამაგი, ექიმობა და შრომა. შენანებაში შევიდნენ ყველანი, ყველა ოხვრით მოიგონებდა, რომ პატრები ვსდევნეთო, შეურაცხყოფა მივაყენეთ უჯეროთაო. ბევრი წუხილის შემდეგ ახალციხეში მეფე ერეკლემ თავისი და ანნა დედოფალი გაგზავნა და პატრებს დაბრუნება სთხოვა. ანნა მალე მივიდა ახალციხეში და პატრებს აუწყა მეფე ერეკლეს პირობა, რომ თითო პარტს წელიწადში 300 მანეთს მოგცემთ, ეკლესიას დაგიბრუნებთ, მასთანვე ყველა თქვენს ზარალს გიზღავთო, ოღონდ თქვენ ქართლში დაბრუნდით და ხალხს წამლებით უპატრონეთო. პატრებმა შეისმინეს ქრისტიანთ მუდარება და 1758 წელს საჩქაროდ მოვიდნენ თბილისში, წარსდგნენ მეფე ერეკლესთან, პირობა მოითხოვეს. მეფემ პირობის სიტყვა მისცა. მთელმა ერმა ფიცი მისცეს მორჩილებასა და პატივისცემაზე. პატრები შეუდგნენ წამლების კეთებას და ხალხის მკურნალობას. მთელი ქალაქი დაიხსნეს მუსვრელი სენისაგან. ავადმყოფებს თვითონ უვლიდნენ.

თბილისის ქუჩები ამ დროს სავეს იყო დაუმარხავი მიცვალებულებით, მათი დამმარხავი არავინ ჩანდა. მიცვალებულთ პატრონები სოფლად იყვნენ გაქცეულნი. თბილისის ქართველთა და სომეხთა მღვდლები ასევე ქალაქგარეთ გაქცეულიყვნენ. პატრებმა დაუწყეს მიცვალებულებს პატრონობა და დასაფლავება. ისინი ნახევარ დღეს მიცვალებულების დასაფლავებას უნდებოდნენ და ნახევარ დღეს წამლების კეთებას, მკურნალობას. მალე თბილისის ქუჩები და სახლები დაეცარიელეს მიცვალებულების სხეულებისაგან. თბილისი გასუფთავდა, ცუდი სუნი მოისპო, ყველგან დატრიალდა სუფთა ჰაერი. ამ საქმის გამო დიდი პატივისცემა, დიდი სახელი და ნდობა მოიხვეჭეს პატრებმა არა მარტო მეფე ერეკლეს წინაშე, არამედ მთელი ქართველების წინაშეც.

წიგნიდან, პატრი ნიკოლა, როგორც ექიმი, მის დროის ქართველ კათოლიკენი საქართველოში.
ავტორი – ზაქარია ჭიჭინაძე
თბილისი. სტამბა ექვთიმე ხელაძისა

ინტერვიუ რუჯერო ფრანჩესკინისთან. იგი 71 წლის გახლავთ და უკვე 6 წელია, სმირნის ლათინური წესის მთავარეპისკოპოსად მსახურობს.

არ გვსურს „სიცრუე“, გვინდა, შევიტყოთ სიმართლე მონსინიორ პადოვეზეს მოწამეობრივი აღსასრულის შესახებ

თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ, მონსინიორ ლუიჯი პადოვეზეს მარტვილობის შემდეგ, რა მდგომარეობაშია თურქეთში ეკლესია?

რასაკვირველია, დამძიმებული, გულდაჭრილი, მაგრამ ერთიანი. მონსინიორ პადოვეზეს დაკრძალვაზე, რომელიც ისკენდერუნის კათედრალში შედგა 7 ივნისს, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული იყვნენ ეპისკოპოსები. ჩემს გვერდით იდგა სომეხი ეპისკოპოსი. ერთი სიტყვაც კი ვერ ვუთხარით ერთმანეთს: განადგურებული იყო. ეს სიკვდილის შოკით გამოწვეული რეაქციაა. ქალდეველთა ვიკარიუსი ვერ მოვიდა, თუმცა მათი მღვდლები საკმარისად იყვნენ. აქ იყო ასევე ასირიელ-მართლმადიდებელთა ეპისკოპოსი. ყველა გულშეძრული და გულდამძიმებული იყო. სომეხი ეპისკოპოსის სახეზე შემდეგი იკითხებოდა: „ისტორია გრძელდება“, ალბათ იმას გულისხმობდა, რაც სომხებს დაემართათ 900-იანი წლების გენოციდის შედეგად. არც ჩვენ, ლათინები, ვყოფილვართ გაბედულად. ყოველივე ამასთან ერთად, ერთობის ლამაზი წუთებიც განგვიცდია. დაკრძალვაზე ამ ქვეყნის მთავრობის წევრები სრული შემადგენლობით მოვიდნენ.

რას ფიქრობს ამ მკვლელობის შესახებ ანატოლიის ვიკარი?

უწინარესად, ჩვენ ვცდილობთ, დავადგინოთ მონსინიორ პადოვეზეს მკვლელობის ნამდვილი მიზეზი. დაკრძალვამდე ერთი დღით ადრე, ისკენდერუნში იუსტიციის მინისტრი ჩამოვიდა მოსამართლესთან ერთად, რომელიც მკვლელობის საქმეს იძიებს. ამ უკანასკნელს ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს. მათ მოითხოვეს ჩემი ნახვა; ჩვენ ოთახში განვმარტოვდით და იქ მე მათ ასე ვუთხარი: „ჩვენ გვინდა სიმართლის გაგება, მხოლოდ სიმართლის. საჭირო არაა ტყუილები, არაფერი არ უნდა დავმალოთ“.

მჯერა, რომ ამ მკვლელობის გამო, რომელიც მოტივირებულია რელიგიური, კერძოდ, ისლამური ელემენტებით, ისეთი პრობლემის წინაშე ვდგავართ, რომელიც მთავრობის მიღმაა, უფრო შორს მიდის, იმ ჯგუფებამდე, რომლებიც შეუპყრია ნოსტალგიას, იქნებ, ანარქიულსაც, და სურთ, თავად მთავრობის დესტაბილიზაცია გამოიწვიონ.

მკვლელობის იგივე ფორმა სამოქალაქო აზრის მანიპულირებას ემსახურება. ეპისკოპოსის მკვლელობის შემდეგ, ახალგაზრდა მურატ ალტუნმა წამოიძახა: „მე დიდი სატანა მოვკალი, ალაჰ აკბარ“. ეს მართლაც უცნაურია, რადგან არც ის, არც მამამისი არ იყვნენ ჩვენი მტრები. ჩემი აზრით, ისინი სხვების ხელში იარაღად იქცნენ.

ისლამური რიტუალის გამოყენება ინტერპრეტაციებიდან გადახვევაა: ეს არის რელიგიური კურსი და არა პოლიტიკური. ამასთანავე, როდესაც ის რელიგიურ ინტერპრეტაციაში გადადის, ისლამსა და ქრისტიანობას შორის კონფლიქტს აღვივებს. მეორე მხრივ, მინისტრ ერდოგანსაც აქვს ძლიერი მხარდაჭერა არა რადიკალურ, არამედ ზომიერ ისლამურ წრეებში. და ვშიშობ, რომ დღესდღეობით ესეც არა აქვს.

ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ამგვარი ძალადობის გამო თურქეთი ვერასოდეს გახდება ევროპის მეგობარი...

ცხადია, ამ მკვლელობის მიზეზი, რაც ასე კარგად არის შესწავლილი, არის თურქული საზოგადოების გარკვეული ნაწილის უარყოფითი დამოკიდებულება ევროპის მიმართ. იმედი გვაქვს, რომ ეს მკვლელობა კი არ დაგვაშორებს, არამედ უფრო დაგვაახლოვებს ევროპასთან. ასევე, ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მეგობრობა სხვა ევროპულ ქვეყნებთან განმტკიცდება, ვითანამშრომლებთ მათთან ყველას საკეთილდღეოდ, რამდენადაც თურქეთი დღეს უკვე განვითარებულ ქვეყნებს შორის მოიაზრება.

როგორ ცხოვრობს პატარა ეკლესია თურქეთში?

თურქეთის ეკლესია არ არის პატარა, იგი სხვადასხვა კონფესიით არის წარმოდგენილი; მონსინიორ პადოვეზეს დაკრძალვას დაესწრნენ: ლათინები, სომხები, კათოლიკეები, მართლმადიდებლები, ასირიელი მართლმადიდებლები, ქალდეველები. ყველა კონფესიის წარმომადგენლებმა თავიანთი ლოცვა წარმოთქვეს ცხედრის წინაშე.

ჩვენ უფრო მეტად გვჭირდება რომთან ერთიანობა. ამას გვეუბნებიან ასევე მართლმადიდებლები, რომლებიც უკვე ხშირად იხედებიან რომისკენ...; იმედი გვაქვს, რომ სინოდის დოკუმენტი არ დარჩება მხოლოდ კულტურულ საბუთად. რაღაც უნდა შეიცვალოს.

აქ, თურქეთში რომ არ ვყოფილიყავით ჩვენ, კაპუცინელები, რამდენიმე დომენიკელი, და რამდენიმე სხვა რელიგიური ორდენის წარმომადგენელი, არ იქნებოდნენ მღვდლები. იზმირში მხოლოდ ერთი ადგილობრივი მღვდელია...

რას ითხოვს საყოველთაო ეკლესია?

პირველ რიგში, ლოცვას; მაგრამ ეს უნდა იყოს შეგნებული ლოცვა, იმაზე გათვლილი, რაც, სირთულის მიუხედავად, არ უნდა უარვყოთ: აქ დაიბადა ქრისტიანული საკრებულო და აქ შედგა პირველი კრებები, ამიტომაც არ შეგვიძლია ამ ადგილის მიტოვება. საჭიროა არა მხოლოდ სიტყვიერი, არამედ აქტიური თანადგომა. ყოველწლიურად გვჭირდება დახმარება ეკლესიის შესაკეთებლად, და არ ვიცით, როგორ მოვიქცეთ. ასევე, საჭიროა მღვდლისა და მონაზონთათვის ადგილსამყოფელის შეძენა, საჭიროა საერო პირთა თანადგომა. შეიძლება აქ რელიგიური თავისუფლების მხრივ სიძნელეებია, მაგრამ საქმე ბევრია გასაკეთებელი; თურქეთში თავისუფლად ვერ აუწყებ სახარებას მოედანზე, ვერ ჩაატარებ სემინარებს, ვერ ააგებ ახალ ეკლესიებს, მაგრამ, სამაგიეროდ, შეგვიძლია, უკვე არსებულ საკრებულოებში ვიმსახუროთ, შევხვდეთ ადამიანებს, ჩვენი სალონები ეკლესიებად გადავაქციოთ...

ყველაზე მეტად რა გესაჭიროებათ?

მხარდაჭერა გამოვუცხადოთ ჩვენს სკოლებს. თურქეთში რამდენიმე სკოლაა, რომლებიც ჯერ კიდევ ათათურქამდე იყო გახსნილი. ოდესღაც ეს სკოლები თურქეთში საუკეთესოდ ითვლებოდა, მაგრამ დღესდღეობით ძლივძლივობით არსებობენ. ჩვენ ვცდილობთ მათ დაცვას, რათა ჩვენი ახალგაზრდები გადავარჩინოთ, რადგანაც სახელმწიფო სკოლებში მათ ცუდად ეპყრობიან. გვესაჭიროება პედაგოგები, მოხალისეები, რომლებიც ორი ან სამი წლით ამ სკოლებში იმუშავებენ, უნდა დაარსდეს აგრეთვე მონაზონთა საკრებულოები. მართალია, ეს რთული იქნება, მაგრამ არა შეუძლებელი; საჭიროა, დაიბადოს ახალი მოწოდებები, განსაკუთრებით კი ჭაბუკებში. დღემდე მე ორი მღვდლის ხელდასხმა მოვახერხე... ჩვენ გვჭირდება ადგილობრივი მღვდლები!

ტრადიცია გრძელდება

III საერთაშორისო სიმპოზიუმი ბიოეთიკაში

გასულ საუკუნეში მეცნიერების რამდენიმე ახალი დარგს, გენეტიკას, კიბერნეტიკას, სოციოლოგიას და სხვ., XX საუკუნის 80-იანი წლებიდან ბიოეთიკაც დაემატა, რომელიც კათოლიკურ ქვეყნებში უმალვე იქნა ატაცებული მრავალრიცხოვან მეცნიერთა მიერ. მართლმადიდებელი ეკლესიაც, აქტიურად ჩაება ბიოეთიკის პრობლემების გადაჭრაში. სამწუხაროა, რომ პროტესტანტი ქრისტიანები გვერდს უვლიან ბიოეთიკურ პრობლემებს და არ იჩენენ ჰუმანური პრობლემებისადმი სათანადო ინტერესს.

XXI საუკუნის დასაწყისიდან კი, შეიძლება ითქვას, საქართველოც აქტიურად ჩაება ბიოეთიკის დანერგვაში. სამედიცინო უნივერსიტეტში მოქმედებს ბიოეთიკის კათედრა და ყველა პირველკურსელი სავალდებულო საგნად სწავლობს ბიოეთიკას; დაარსების დღიდან, სულხან-საბა ორბელიანის თეოლოგიის ინსტიტუტში (ამჟამად „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი“) უცხოეთიდან საგანგებოდ მოწვეული ლექტორები კითხულობდნენ ბიოეთიკის კურსს, საქართველოს საპატრიარქოში არსებობს ბიოეთიკის განყოფილება, რომელსაც ბიოეთიკის დოქტორი, არქიმანდრიტი ადამ ხმალაძე ხელმძღვანელობს; ქუთაისში არასამთავრობო ორგანიზაცია ინერ-საქართველო მეტად ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა ამ მხრივ, ხოლო საქართველოს რელიგიათმცოდნეთა კავშირი, ბიოეთიკით დაინტერესებული ყველა ფიზიკური თუ იურიდიული პირის თანადგომით, საერთაშორისო ფორუმებს უწევს ორგანიზებას.

2008 წელს, რელიგიათმცოდნეთა კავშირმა, სულხან-საბა ორბელიანის თეოლოგიის ინსტიტუტის და პირადად მ. პიერ დიუმულენის მხარდაჭერით, საქართველოში პირველად ჩაატარა საერთაშორისო სიმპოზიუმი ,,საქართველო: ბიოეთიკის პრობლემები და მისი განვითარების პერსპექტივები“. სიმპოზიუმს თბილისის ი.ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი უწევდა მასპინძლობას და მასში ხუთი ქვეყნის თვრამეტი მეცნიერი იღებდა მონაწილეობას. სიმპოზიუმი დალოცა მისმა მაღალყოვლადუსამღვდელოესობამ, მეუფე ჯუზეპე პაზოტომ. პირველმა სიმპოზიუმმა საზოგადოების, მათ შორის, პროფესიონალთა, დიდი გამოხმაურება გამოიწვია და დამფუძნებლებმა გადაწყვიტეს, ყოველი წლის მაისში ჩაეტარებინათ საერთაშორისო ბიოეთიკური ფორუმები. 2009 წელს, ბიოეთიკის II სიმპოზიუმს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი მასპინძლობდა. სიმპოზიუმში, წმ. კამილოს ორდენის მოწვევით, იტალიიდან ბიოეთიკის ერთ-ერთი უპირველესი ექსპერტი, ანჯელო ბრუსკო იყო მოწვეული, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა თბილისურ სიმპოზიუმს, თუმცა გამოითქვა აზრი, რომ უკეთესი იქნებოდა, სიმპოზიუმის ერთ-ერთი მასპინძელი სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ყოფილიყო. ორგანიზატორებმა გაითვალისწინეს ეს საქმიანი მოსაზრება და 2010 წელს, თბილისის III საერთაშორისი სიმპოზიუმის ერთ-ერთ მასპინძლად მართლაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მოგვევლინა.

თბილისის III საერთაშორისო სიმპოზიუმისთვის მზადება გასული წლის სექტემბერში დაიწყო. მისმა ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, რომ სიმპოზიუმი პალიატიური მზრუნველობისა და ევთანაზიის პრობლემებისადმი ყოფილიყო მიძღვნილი. მაგ. II სიმპოზიუმი მთლიანად აბორტის თემატიკას მიეძღვნა. შეირჩნენ სავარაუდო მომხსენებლებიც, რომელთაც დაეგზავნათ საორგანიზაციო კომიტეტის მიმართვები, რამდენიმე თვით ადრე, უკვე ცნობილი იყო ძირითად მომხსენებელთა ვინაობაც. სიმპოზიუმის მზადებაში ჩაერთო ქუთაისის ინერ-საქართველოს ხელმძღვანელობაც. აქტიურად ჩაებნენ საორგანიზაციო საქმიანობაში სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წევრებიც. სწორედ მათი ინიციატივით, სიმპოზიუმის სამუშაო დღეების რაოდენობა ორიდან სამ დღემდე გაიზარდა. მესამე დღე მთლიანად სტუდენტებს დაეთმოთ. გადაწყდა, ეჩვენებინათ ფილმი ბიოეთიკის, კერძოდ კი, ევთანაზიის პობლემაზე და შემდეგ ე.წ. საჩვენებელი სასამართლო პროცესიც გაეთამაშებინათ სხვადასხვა პროფესიისა და კონფესიის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ამ იდეამ დიდი მოწონება დაიმსახურა ორგანიზატორებში და, როგორც სიმპოზიუმმა აჩვენა, არც შემცდარან.

თბილისის III საერთაშორისო სიმპოზიუმი ბიოეთიკაში 19-21 მაისს ჩატარდა სამედიცინო უნივერსიტეტის ცისფერ დარბაზში, დამსწრეთა უმრავლესობა სწორედ სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები იყვნენ. სიმპოზიუმს მიესალმა ამიერკავკასიის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი, მეუფე ჯუზეპე პაზოტო, ბიოეთიკის მიმართულების ხელმძღვანელი, ქალბატონი ბელა მამულაშვილი, სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები. წინა საარჩევნო პერიოდის გამო, სიმპოზიუმის ორგანიზატორებმა თავი შეიკავეს გახსნის საზეიმო ცერემონიალში სახელმწიფო და პოლიტიკური ფიგურების გამოსვლებისაგან და ამით დამსწრეთა სიმპათიებიც დაიმსახურეს. სამეცნიერო ფორუმი მეცნიერების განვითარებას უნდა უწყობდეს ხელს და საარჩევნო მარათონში ჩაბმული ლიდერებისთვის კიდევ ერთ PR კამპანიის საშუალებას არ უნდა წარმოადგენდეს.

სიმპოზიუმში მონაწილე ავსტრიელ, უკრაინელ, ფრანგ მეცნიერებთან ერთად, მეტად საინტერესო და აქტუალური მოხსენებები წაიკითხეს ქართველმა მეცნიერებმა. მიუხედავად იმისა, რომ ბიოეთიკა ჩვენთან ახლა იწყებს განვითარებას, და არც სათანადო ხელშეწყობა და მხარდაჭერა გაგვაჩნია, ჩვენმა თანამემამულეებმა თავიანთ მოხსენებებში მეტად საინტერესო, თამამი და მნიშვნელოვანი ასპექტები წარმოაჩინეს. სიმპოზიუმმა დაადასტურა, რომ ბიოეთიკას საქართველოში აქვს პერსპექტივა და ამ მეცნიერების განვითა-

რებაში კათოლიკე ეკლესიის წარმომადგენლებს დიდი წვლილი მიუძღვით.

სიმპოზიუმი მრავალფეროვანი გახადა ქუთაისის ინერ-საქართველოს მონაწილეობამ, რაშიც დიდი მადლობა ეკუთვნის მის ხელმძღვანელს მონაზონ ანა-მარია კრიველარის. ინერის აქტივისტებმა საგანგებო პრეზენტაცია მოაწყვეს საკონფერენციო დარბაზის ფოიეში და არცერთი დამსწრე გულგრილი არ დაუტოვებია ინერ-საქართველოს მიერ წარმოდგენილ თემატურ სტენდებს.

განსაკუთრებული აქტიურობითა და დამსწრეთა ჩართულობით გამოირჩეოდა სიმპოზიუმის მესამე დღე, რომელიც სტუდენტური თვითმმართველობის მიერ იქნა მომზადებული. წარმოდგენილი იყო ამერიკული მხატვრული ფილმი, რომელიც 2002 წელს გასამართლებულ ამერიკელ ექიმს ჯ. კევორქიანს და მის სასამართლოს ეძღვნებოდა. ამ ექიმმა ასეულობით პაციენტზე განახორციელა ევთანაზია და შემდგომ გასამართლებულ იქნა. ფილმში, რომელიც საკმაოდ მაღალპროფესიულ დონეზეა შექმნილი, და რომელშიც მთავარ როლს ალ პაჩინო ასრულებს, ადამიანების არჩევანის პრობლემაა დაყენებული. საკმაოდ განსხვავებული იყო ფილმის განხილვაში მონაწილეთა პოზიციები. მართალია, ზოგადად ევთანაზიის დაკანონების მომხრე არავინ იყო, მაგრამ ლიბერალურად განწყობილი ახალგაზრდების ნაწილი მაინც მხარს უჭერდა განსაკუთრებულ შემთხვევებში ექიმების მხრიდან ევთანაზიის განხორციელებას. ეკლესიის პოზიცია ამ მხრივ გასათვალისწინებელია, რადგან ჰოლანდიაში, სადაც

პასიური ევთანა

მა მომხსენებლებმა მომავალ წელს III საერთაშორისო სიმპოზიუმში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს; ასე რომ ისინი კვლავაც დიდი სიხარულით გაგვიზიარებენ თავიანთ ცოდნას და გამოცდილებას, ასევე, ჩვენგანაც შეიტყობენ ბევრ ახალ და საინტერესო ცნობებს.

სიმპოზიუმის ორგანიზებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით დეკანოზ კახაბერ კურტანიძეს და მამა გაბრიელე ბრაგანტინის.

ჩვენც იმედიანად მოველით მომავალ სიმპოზიუმს.

თამარ თელიაშვილი,
ვასილ ბალიაშვილი

სტრასბურგის სასამართლო თურქეთს აიძულებს, დაუბრუნოს ობოლთა თავშესაფარი მსოფლიო პატრიარქს

სტრასბურგის სასამართლოს მიერ გამოტანილი იძულებითი სანქცია ახალ საერთაშორისო სცენარს წერს, რადგანაც იგი მსოფლიო პატრიარქის იურიდიულ აღიარებას გულისხმობს, ვინც დღემდე ანკარას არ უღიარებია. ფაქტი იმედისმომცემია სომეხი, ებრაელი და კათოლიკე უმცირესობის წარმომადგენლებისთვის. ობოლთა თავშესაფარს ნაწილობრივ გამოიყენებენ გარემოს დაცვის საერთაშორისო ცენტრად, ხოლო ნაწილს – რელიგიათაშორის გამართული დიალოგებისთვის.

ერთსულოვანი განაჩენი იქნა გამოტანილი სტრასბურგის უფლებათა უზენაესი სასამართლის მიერ, რომელმაც თურქეთში, ბუჯუკადას, ე.წ. პრინცთა კუნძულზე არსებული ობოლთა თავშესაფარი სამართალმემკვიდრეს დაუბრუნა. ასე დასრულდა ხანგრძლივი დავა კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქსა და ანკარას შორის, რომელიც 1997 წელს დაიწყო, მაშინ, როდესაც თურქეთის ხელისუფლება სხვადასხვა გზებით ცდილობდა შენობისა და მისი შემოგარენი ტერიტორიის მიტაცებას. საუბარია მყარად აგებულ ხის ნაგებობაზე, რომელიც ნამდვილ არქიტექტორულ მარგალიტს წარმოადგენს. იგი 1898 წელს აიგო ფრანგული საზოგადოების მიერ და 1903 წელს შეიძინა სტამბულელმა ბერძენმა მაგნატმა ზაფირისმა, რომელმაც შემდგომ საჩუქრად გადასცა ფანარს (პატრიარქის საყდარი), რათა შენობაში ქრისტიანი ობლების მიღება შეძლებოდათ. ობოლთა თავშესაფარი 1964 წელს დაიხურა.

სტრასბურგის განაჩენი უდიდესი მნიშვნელობისაა, რამეთუ სტრასბურგის სასამართლომ პირველად მოსთხოვა სახელმწიფოს უძრავი ქონების დაბრუნება ყოველგვარი კომპრომისის გარეშე.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტია ისიც, რომ ამ განაჩენის მიზეზით მოხდება მსოფლიო პატრიარქის იურიდიული აღიარება, რაც აქამდე ანკარას არ გაუკეთებია. თუმცა გარკვეული წინსვლა შეინიშნება ანკარასა და ფანარს შორის კავშირებში, განსაკუთრებით, ერდოგანის მთავრობაზე შეტევის შემდეგ, მას შემდეგ, რაც პრემიერ ერდოგანს 2009 წლის 15 აგვისტოს თან ახლდა პატრიარქი ბართოლომეუსი და მათ პირველად მოინახულეს თავშესაფარი. სწორედ ამ დროიდან მან მრავალგზის განაცხადა, რომ არ დაუპირისპირდებოდა სტრასბურგის განაჩენს.

უნდა აღინიშნოს, რომ რადგანაც თურქეთის მთავრობის მხრიდან პატრიარქს არანაირი აღიარება არ ჰქონდა, მას არ შეეძლო, თურქეთში რაიმე საკუთრების მფლობელი გამხდარიყო. უფლებამოსილება მას მხოლოდ სტამბულში მცხოვრებ მართლმადიდებელთა რელიგიურ მსახურებაზე გააჩნდა. ფანარის საყდარი ეკუთვნის ასევე წმიდა გიორგის ვაკიფს (ფონდი). იგივე მდგომარეობაში არიან თურქეთში მყოფი სხვა უმცირესობები.

სტრასბურგის დიპლომატიურ და პოლიტიკურ წრეებში დღეს კომენტარს აკეთებენ იმაზე, რომ ეს განაჩენი იმედს უსახავს სხვა უღიარებელ რელიგიურ უმცირესობებსაც: სომხებს, ებრაელებს და კათოლიკეებს, რომლებიც გაურკვეველი სტატუსით ცხოვრობენ და თავს მინიმუმი ქონებით ირჩენენ ამ ურთულეს სიტუაციაში.

განუსვენე მათ, უფალო!

ქეროფ ალბერტოვი
* 15. 08. 1962 წ. – ჭიათურა
† 29. 05. 2010 წ. – ჭიათურა



პეტრე კაჭკაჭიშვილი
* 11. 06. 1933 წ. – არალი
† 22. 06. 2010 წ. – არალი

სოფიო თამარაშვილი
* 20. 07. 1934 წ. – ახალციხე
† 04. 06. 2010 წ. – ახალციხე



პავლე აღლემაშვილი
* 29. 01. 1938 წ. – ვალე
† 09. 06. 2010 წ. – ვალე



საქართველოს კათოლიკეთა ახალგაზრდების საბჭო

ვალესა და ახალციხის ახალგაზრდები ოქროს ციხეზე

რამდენიმე წელია, რაც ვალესა და ახალციხეში სისტემატურად ტარდება ახალგაზრდული შეხვედრები, რომლებიც გამოირჩევა ფორმაციის სიუხვით, გასართობ-შემეცნებითი ვიქტორინებით და ახლომახლო ისტორიულ ადგილებში ხშირი ექსკურსიებით.

ზამთარში ვალეს ახალგაზრდული ჯგუფი ბაკურიანს ვესტუმრეთ, გაზაფხულზე კი ოქროს ციხის დალაშ-

ქვრა გადავწყვიტეთ.

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ჩვენს ახალციხელ მეგობრებთან ერთად, ოქროს ციხეზე საქართველოს დროშის ატანა გადავწყვიტეთ.

მშვენიერი ამინდი იყო, მზიანი და ხალისიანი. ორმოცდათორმეტი ახალგაზრდა, მამა ზურაბ კაკაჩაშვილის ხელმძღვანელობით, ორი ავტობუსით გავეშურეთ ექსკურსიაზე.

ოქროს ციხე, თავისი სიდიადითა და უმშვენიერესი ბუნებით, საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი ციხეა. მისი დიდი ნაწილი განადგურებულია, მაგრამ რაც არის შემონახული, კარგად ასახავს ჩვენი წინაპრების თავდადებას, რომლებმაც ასეთ სიმაღლეზე ბუმბერაზი ციხე ააშენეს. შთაბეჭდილებები იმდენად დიდი იყო, რომ გადავწყვიტეთ, ახლომდებარე ისტორიული ტაძრებიც მოგველოცა.

ზარზმა და ჭულევი, უმშვენიერესი ტაძრები, გამომხატველი საქართველოს დიდებული წარსულისა, მთელი თავისი სიდიადით შემოგვეგება. ტაძრის მახლობლად პატარა, მშვენიერი ჩანჩქერია. ორივე ტაძარს მართლმადიდებელი ბერები უვლიან, მათ სითბოთი და სიყვარულით მიგვიღეს.

ტაძრების დათვალიერების შემდეგ, ყველამ ერთად გავიზიარეთ მცირე, მაგრამ გემრიელი ტრაპეზი. შემდეგ სხვადასხვა ინტელექტუალური თუ სპორტული თამაშობები ცვლიდა ერთმანეთს, ახალგაზრდების ჟრიამული არემარეს ეფინებოდა. მამა ზურაბმაც მხარი აგვიბა და ჩვენი მხიარულება ხალისით გაიზიარა.

ახალგაზრდების სახელით, მსურს, მადლობა ვუთხრა მამა ზურაბს ამ ლამაზი დღის გამო.

საღამოს შთაბეჭდილებებით სავსენი, გახარებულები და ბედნიერები დავბრუნდით შინ.

თამრიკო ჩიტაშვილი

ხიზანავრის "ცოცხალი სავარდის" ჯგუფის ლაშქრობა

ჩვენს სამრევლოში ახალგაზრდებმა ჩამოაყალიბეს „ცოცხალი სავარდის“ ჯგუფი. ყოველ შაბათს, 15.30 სთ-ზე მამა პაატასთან ერთად ვლოცულობთ სავარდს.

12 ივნისს, მამა პაატამ „სავარდის“ ახალგაზრდების ჯგუფი ექსკურსიაზე წაგვიყვანა ადიგენის რაიონში, ოქროს ციხის მოსალოცად. სოფელ შოყამდე მიკროავტობუსით მივედით, იქიდან კი ფეხით განვაგრძეთ გზა. იმ დღეს აუტანელი სიცხე იყო, სიარული ჭირდა, მაგრამ სვენებ-სვენებით მაინც წინ მივიწევდით. მალე ჩვენს თვალწინ ულამაზესი ხედი გადაიშალა და ციხის ნანგრევების თვალწარმტაცმა სილამაზემ მოგვაჯადოვა. სამახსოვრო სურათები გადავიღეთ და წყაროსთან შევისვენეთ. ახალგაზრდობამ დაღლილობას მალე სძლია და ყველანი ტაძრის ძირას გაშლილ მინდორში სხვადასხვა თამაშობებით გავერთეთ.

უკან დაბრუნებულებს, გზაზე საშინელი წვიმა წამოგვეწია, თავშესაფარი კი არსად ჩანდა, სულ მთლად დავსველდით. ამას ისიც დაერთო, რომ ჯგუფები ერთმანეთს ავცდით და შორი გზის გავლა მოგვიწია. სასაცილო სანახავები ვიყავით, გაწუწულები და ტალახიანები, მაგრამ მხიარულები და კმაყოფილები.

წვიმამ ვერ შეგვაშინა და გეზი ახლა ხერთვისის ციხისკენ ავიღეთ. სამლოცველოში სანთლები ავანთეთ და ვილოცეთ, დავათვალიერეთ ციხე და მისი შემოგარენი და სურათებიც გადავიღეთ.

საღამოს, შინ მიმავალნი, ერთმანეთს ვუზიარებდით ჩვენს შთაბეჭდილებებს.

ჩვენი სამრევლოს ახალგაზრდები მადლობას ვუხდით მამა პაატას ასეთი ლამაზი და სამახსოვრო დღისათვის.

ფიქრია მექოშვილი

სტუმრად სკოლა-პანსიონის მოსწავლეებთან

ახალციხის საკრებულოს ახალგაზრდების ჯგუფმა ერთ-ერთ შეხვედრაზე გადავწყვიტეთ, რომ ახალციხის სკოლა-პანსიონს ვწვეოდით, და, მართლაც, ჩვენი ჩანაფიქრი ერთ კვირაში განვახორციელეთ.

მთელი კვირა ვემზადებოდით იმისათვის, რომ ბავშვებთან შეხვედრა ლამაზი და შინაარსიანი გამოსულიყო.

შეიძლება ითქვას, რომ შეხვედრა შედგა. პანსიონის აღსაზრდელებმა სითბოთი და სიყვარულით მიგვიღეს, ჩვენც, ჩვენი მხრივ, ვეცადეთ, ბავშვებისთვის საინტერესო და დასამახსოვრებელი დღე მოგვეწყო, რათა შეხვედრები მომავალშიც გაგრძელებულიყო.

პირველი, ასე თუ ისე დაძაბული, გაცნობის შემდეგ, ბავშვები ჩვენთან ერთად ჩაებნენ სხვადასხვა სპორტულ თამაშებში; ვითამაშეთ ხელბურთი, კალათბურთი, წრეში ბურთი, ფეხბურთი... ირგვლივ ჟრიამული და მხიარული სიცილი ისმოდა. გამომშვიდობებისას, ბავშვებს ტკბილეულით გავუმასპინძლდით.

სიხარულით გაცისკროვნებულ მათ თვალებში ამოვიკითხეთ, რომ ჩვენმა სტუმრობამ დადებითი შედეგი გამოიღო და ჩვენს მცდელობას უკვალოდ არ ჩაუვლია. ერთმანეთს კვლავ შეხვედრის იმედით გამოვემშვიდობეთ და სკოლა-პანსიონის ეზოდან გამოვედით.

ამ შეხვედრის შემდეგ, სურვილი გაგვიჩნდა, რომ მსგავსი შეხვედრები რეგულარულად მოვაწყოთ და პატარებს კიდევ არაერთი ლამაზი დღე ვაჩუქოთ.

მადლობა ჩვენს მოძღვარს, მამა ზურაბ კაკაჩაშვილს, რომ ყველაფერში მხარში გვიდგას და ჩვენს ყველა წამოწყებას ენთუზიაზმით ხვდება.

ახალციხის საკრებულოს ახალგაზრდები

სარჩევი

რედაქციის გვერდი 2
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში 3
კათოლიკე ეკლესია საქართველოში 5
ჩემი მღვდელი 14
კათოლიკური პასუხი 14
თქვენი აზრი "საბას" შესახებ 15
ეკლესიის სოციალური სწავლება 16
საარქივო მასალები 17
ინტერვიუ 18
ინფორმაცია 19
ახალგაზრდული გვერდი 22
საგანგებო ჩანართი: ..... I-IV

რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვავა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ღაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:

თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 98-95-16
რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ

© „საბა", 2010